საერთო გაზეთი

№16 (838)
ოთხშაბათი
6 მაისი,
2026 წ.
ფასი 2 ლ.

სრულიად საქართველოს, გილოცავთ გიორგობას!

ჩვენ შვიდ ქვეყანას ვაკავშირებთ შავ ზღვასთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ერევანში ოფიციალურ მიღებას დაესწრო, რომელიც სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ვაჰაგნ ხაჩატურიანის, პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის და პარლამენტის თავმჯდომარე ალენ სიმონიანის სახელით, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მე-8 სამიტის მონაწილე ლიდერთა პატივსაცემად გაიმართა.

„ევროპული პოლიტიკური საზოგადოების სამიტში პირადად მე მეხუთედ ვმონაწილეობ. მრგვალი მაგიდის ფორმატში მექნება საშუალება, მივმართო ევროპელ ლიდერებს, ორმხრივი შეხვედრებისთვისაც გამოვიყენებთ ამ ღონისძიებას. ზოგადად, ამიერკავკასიის და საქართველოს როლი არის განსაკუთრებული. ჩვენ შვიდ ქვეყანას ვაკავშირებთ შავ ზღვასთან და შესაბამისად - დასავლეთთან, ეკონომიკური და სავაჭრო კუთხით და ბუნებრივია, ამაზე გვექნება აქტიურად საუბარი. საქართველოს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა დაკავშირებადობის თვალსაზრისით ევროპისთვის“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერის თქმით, ამიერკავკასიის და ზოგადად, საქართველოს როლი არის განსაკუთრებული, საქართველო შვიდ ქვეყანას აკავშირებს შავ ზღვასთან ეკონომიკური და სავაჭრო კუთხით და სამიტის ფარგლებში ამ საკითხებზე იქნება საუბარი.

●

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე.

მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნა დიალოგისთვის და როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის.

ქართულმა მხარემ შეშფოთება გამოხატა საერთაშორისო მექანიზმების პოლიტიკურად მოტივირებული მიზნებით გამოყენების მზარდ ტენდენციაზე და იმედი გამოთქვა, რომ ეს პრაქტიკა შეიცვლება.

ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს მთავრობის ერთგულება ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის, დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისადმი.

შეხვედრას საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი დაესწრნენ.

●

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მე-8 სამიტის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო მრგვალი მაგიდის ფორმატის დისკუსიაში თემაზე - „დაკავშირებადობის გაძლიერება და ეკონომიკური უსაფრთხოება“.

მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლისას დაკავშირებადობის უზრუნველყოფაში საქართველოს განსაკუთრებულ როლზე გაამახვილა ყურადღება და ისაუბრა იმ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ამ ფუნქციის ხელშესაწყობად ახორციელებს, მათ შორისაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, ჩქაროსნული ავტომაგისტრალები და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი.

ირაკლი კობახიძემ ასევე ყურადღება გაამახვილა სატრანსპორტო და ენერგეტიკული მარშრუტების დივერსიფიკაციის მნიშვნელობაზე და ამ კონტექსტში სამხრეთის გაზის დერეფნისა და შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტების სტრატეგიულ დატვირთვაზე ისაუბრა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებისთვის და აღნიშნა, რომ ძლიერი დაკავშირებადობა გრძელვადიანი სტაბილურობის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა.

დისკუსიაში, რომელსაც თანათავმჯდომარეობდნენ ხორვატიის პრემიერ-მინისტრი ანდრეი პლენკოვიჩი და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი იონას გარ სტიორე, კანადის პრემიერ-მინისტრი მარკ კარნი, ბელგიის პრემიერ-მინისტრი ბარტ დე ვევერი, ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი, ჩრდილოეთ მაკედონიის პრეზიდენტი გორდანა სილიანოვსკა-დავკოვა, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი რობერტ ფიცო და ეუთოს გენერალური მდივანი ფერიდუნ სინირლიოღლუ მონაწილეობდნენ.

●

გვქონდა საინტერესო საუბრები ევროპელ ლიდერებთან, ყველა თემასთან დაკავშირებით, რაც არის საინტერესო ჩვენი ქვეყნისთვის. მთავრობის მეთაურის თქმით, სამიტის ფარგლებში მას ჰქონდა გამოსვლა, მრგვალი მაგიდის ფორმატში, სადაც საუბარი იყო დაკავშირებადობის საკითხზე.

„მეხუთედ ვიღებ ამ სამიტში მონაწილეობას, მოხარული ვარ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, სომხეთში იმართება ეს სამიტი. ტრადიციულად გამოვიყენეთ ეს პლატფორმა, მრგვალი მაგიდის ფორმატში მქონდა გამოსვლა, სადაც საუბარი იყო დაკავშირებადობის საკითხზე, განსაკუთრებით, ენერგეტიკის მიმართულებით და ჩვენი ხედვები გავუზიარეთ ჩვენს კოლეგებს. ასევე, ამ ფორმატში გვაქვს ხოლმე საშუალება, ბევრ ლიდერს გავესაუბროთ და ეს შესაძლებლობაც მაქსიმალურად გამოვიყენეთ. გვქონდა საინტერესო საუბრები ევროპელ ლიდერებთან, ყველა თემასთან დაკავშირებით, რაც არის საინტერესო ჩვენი ქვეყნისთვის“, - განაცხადა პრემიერმა.

●

ოპოზიციაში არის რთული მდგომარეობა, ამ ყველაფრით ისინი ხელს უწყობენ ჩვენს შემდგომ გაძლიერებას, ეს არის საერთო სურათი, შესაბამისად, შეუძლიათ, ასე განაგრძონ, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ოპოზიცია გარედან იმართება და რასაც დაავალებენ, იმას აკეთებენ.

„რაც შეეხება ოპოზიციას, ოპოზიციაში არის რთული მდგომარეობა, ამ რთული მდგომარეობის მიზეზი არის სხვადასხვა, პირველ რიგში, ეს არის მათი წარსული, მათი აწმყო და ეს არის, რაც მთავარია ის, რომ ისინი გარედან იმართებიან. შესაბამისად, რასაც დაავალებენ ხოლმე, იმას აკეთებენ. ისეთ რაღაცებს აკეთებენ, რაც სუბიექტურადაც არ შედის მათ ინტერესებში, ამიტომ ხან ერთიანდებიან, ხან იშლებიან. ამ ყველაფრით ისინი ხელს უწყობენ ჩვენს შემდგომ გაძლიერებას, ეს არის საერთო სურათი, შესაბამისად, შეუძლიათ, ასე განაგრძონ“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ორ ქვეყანას შორის არსებული პაუზა დაძლეულია

ანალიტიკოსი გია აბაშიძე აცხადებს, რომ კიევის მხრიდან დაზიანებული ურთიერთობების აღდგენის პროგნოზი დიდი ხანია არსებობდა. მისივე მტკიცებით, ეს ვარაუდი ერევანში გამართული შეხვედრით გამართლდა.

„კობახიძე-ზელენსკისა და უკრაინა-საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ, ორ ქვეყანას შორის არსებული ხანგრძლივი პაუზა დაძლეულია. შესაბამისად, იქმნება ისეთი განცდა, თითქოს მანამდე არც არაფერი მომხდარა - თითქოს დაუმსახურებლად არ გაგვბუტებოდნენ, არ გვამუნათებდნენ და ასე შემდეგ. საზოგადოებაში გაჩნდა განცდა და ლოგიკური შეკითხვები: ნუთუ, ზელენსკისთვის „ოცნება“ უკვე აღარ არის ე.წ. რუსული ხელისუფლება? თუ გუშინ და გუშინწინ საქართველოს ხელისუფლება პრორუსული იყო, დღეს რამე შეიცვალა? უბრალოდ, ეს არის ის რეალური მოცემულობა, რომ სანდო და პროგნოზირებადი პარტნიორის, საქართველოსთან ურთიერთობების განმტკიცება აუცილებელი ხდება ნებისმიერი აქტორისთვის და ეს პროცესი უკვე დაწყებულია“, - აღნიშნავს ანალიტიკოსი.

მისივე თქმით, თუკი კაია კალასი ჯერჯერობით კვლავ გვაკრიტიკებს და გეოპოლიტიკას ფსევდოლიბერალური ჭრილიდან ხედავს, მასაც მოუწევს რიტორიკის შეცვლა. იქნება ეს კაია კალასი, მარტა კოსი თუ სხვა ბიუროკრატები.

„ოფიციალური თბილისი ხელს არავის ჰკრავს - იქნება ეს კაია კალასი, მარტა კოსი, თუ სხვები. იგივე იქნება კიევთან მიმართებაშიც. ჩვენ ისედაც ვაგრძელებდით ცალმხრივ მეგობრობის რეჟიმში ურთიერთობას და, როგორც ჩანს, უკრაინას ეს უკვე აღარ სურს და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ჩემი ვარაუდით, ეს არ იყო მხოლოდ ზელენსკის ნება-სურვილი, ალბათ, მას ასეთი ნაბიჯი ევროპიდან ურჩიეს. რომელი ქვეყნიდან და რომელი ლიდერისგან, ალბათ, გამოჩნდება და არაფერი დაიმალება იქიდან გამომდინარე, რომ უახლოეს მომავალში ევროჩინოსნებიც საქართველოსთან ჩვეულ დიალოგს დაიწყებენ.

ამას ის ვარაუდიც ამყარებს, რომ ევროკავშირიც აქტიურობს საქართველოსთან ურთიერთობის გამოსწორებაზე. ვიცით, რომ უახლოეს პერიოდში მარკო რუბიოს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გვეწვევა. როდესაც გეოპოლიტიკურ გათვლებს აკეთებენ, ბრიუსელში გადაწყვეტილების მიმღებებმა რეალობა უნდა დაინახონ და დაუჯერონ თავიანთ მრჩევლებსა და სტრატეგებს ევროპაში“, - განაცხადა აბაშიძემ.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს ახლა საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა და დიპლომატიური გზავნილები ევროპისთვის სომხეთიდან, ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ დააფიქსირა საჯაროდ ყველა პლატფორმაზე - თანასწორუფლებიანი პარტნიორობა უმთავრესია.

„შესაბამისად, როდესაც საუბარია თანასწორუფლებიანობაზე, იქ საქართველოს საშინაო საქმეებში „ხელების ფათური“ და ე.წ. რეკომენდაციების თუ ჭკუის დარიგებების გაცემა დაუშვებელია. მათ დაინახეს, რომ საქართველოს ხელისუფლება შეუვალია თავისუფლებისა და სუვერენიტეტის დაცვაში.

შესაბამისად, ახლა ხდება, როგორც იტყვიან დიპლომატიაში, „სახის შენარჩუნების“ რეჟიმში ურთიერთობის გაგრძელება. თავად უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმაც დაწერა სოცქსელში, რომ ქართველ კოლეგასთან თანამშრომლობის ფართო საკითხები განიხილა. ეს, რა თქმა უნდა, უწინარესად, ეკონომიკურ-სატრანსპორტო და სატრანზიტო თანამშრომლობას გულისხმობს. შუა დერეფანი ვითარდება და ამ გზაზე საკვანძო ქვეყანა საქართველოა. ამიტომ, ამ სანდო ქვეყანასთან თანამშრომლობა, რა თქმა უნდა, ყველა პრაგმატულად მოაზროვნე ქვეყანასა და ლიდერს უნდა აწყობდეს“, - ამბობს ანალიტიკოსი.

სახელმწიფო პოლიტიკა უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში სრულფასოვან ჩართულობას

სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ ათწლიანი სტრატეგიის განხორციელების შემდგომი ეფექტიანობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია პროგრესის დინამიკის, ასევე სამიზნე სეგმენტზე ზეგავლენის შეფასება, რომ სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულ დარგობრივ უწყებებთან, სახელმწიფო რწმუნებულებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოხდეს ერთიანი სურათის და ტენდენციების გაანალიზება და კონცენტრირებული სისტემური მიდგომებით შემდგომი ქმედებების დაგეგმვა.

კვლევის შედეგები ადასტურებს არსებით პროგრესს ფაქტობრივად ყველა სტრატეგიული მიმართულებით, იქნება ეს სახელმწიფო ენის სწავლება, ხარისხიანი განათლება, სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია თუ კულტურათაშორისი დიალოგი.

მიღწეული შედეგების და ჯერ კიდევ არსებული საჭიროებების კომპლექსური გაანალიზების საფუძველზე, ჩვენ შევჯერდით შემდგომ მიზანმიმართულ ქმედებებზე და ვიწყებთ 2027-2028 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესს, რაც ემსახურება ჩვენი მრავალგანზომილებიანი პოლიტიკის შემდგომ განვითარებას იმისთვის, რომ ეტაპობრივად და სრულფასოვნად მივაღწიოთ 2030 წლისთვის დასახულ ყველა პრიორიტეტულ მიზანს.

ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულია საქართველოს მოქალაქე

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ინტენსიურ რეჟიმში გატარებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებების შედეგად, ჯაშუშობისთვის, კერძოდ, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის თანამშრომლების დავალებით ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის ბრალდებით, დაკავებულია საქართველოს ერთი მოქალაქე.

სხვადასხვა, მათ შორის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ერთ-ერთ სახელმწიფო უწყებაში, მაღალ თანამდებობაზე დასაქმებული საჯარო მოხელე, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისი ამჟამინდელი სამსახურებრივი მდგომარეობის, წარსულში დაკავებული თანამდებობებისა და სხვადასხვა უწყებაში არსებული პირადი კავშირების მეშვეობით, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესების სასარგებლოდ, სისტემურად ახორციელებდა ინფორმაციის მოპოვებასა და მათთვის გადაცემას.

დაკავებულს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენელთან გააჩნდა მაღალ დონეზე ორგანიზებული კონსპირაციული ხასიათის სისტემატური კონტაქტები. შეხვედრები იგეგმებოდა დაშიფრული ორმხრივი კავშირის გამოყენებით და იმართებოდა სხვადასხვა ლოკაციაზე, წინასწარ შეთანხმებული კონსპირაციის პირობების მკაცრი დაცვით. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდა როგორც პირისპირ კონტაქტის, ასევე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

უცხო ქვეყნის სპეცსამსახურისთვის გადაცემული ინფორმაცია მოიცავდა სხვადასხვა კატეგორიის საიდუმლო მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებთან, ძალოვან უწყებებსა და უსაფრთხოების სტრუქტურებში არსებულ ვითარებასთან, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ ინფორმაციასა და ინფორმაციის გადაცემის დამკვეთებისათვის საინტერესო სხვა მონაცემებთან.

გარდა ამისა, მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენლის დავალებით, დაკავებული პირი მუშაობდა საინფორმაციო პლატფორმების შექმნაზეც, რომელთა მიზანი იყო მედიასფეროს წარმომადგენლების მოზიდვა და აღნიშნული ქსელის გამოყენებით, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის დაინტერესების შესაბამისად, სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის მოპოვება, მათ შორის, რეგიონის ქვეყნების მიმართულებით.

აღნიშნულ საქმიანობას ბრალდებული მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ახორციელებდა. საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვისიც არის რეგიონი, მისია რჯულიც



მას შემდეგ, რაც საგარეო ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აბსოლუტური სიცხადით დაინახა ე.წ. დასავლური ღირებულებები და ფასეულობები რა მტრობის შემცველი ყოფილა სახელმწიფო გადატრიალებების მცდელობების ჩათვლით, საქართველოს ნეიტრალიტეტსა და კონსტიტუციიან 78-ე მუხლის ამოღებაზე საუბრები და მოთხოვნები საკმაოდ გახშირდა.

ოფიციალური განმარტებით, აქტიური ნეიტრალიტეტი არის საგარეო პოლიტიკური კურსი, რომლის დროსაც სახელმწიფო სამხედრო ბლოკებში გაუწევრიანებლობისა და ომში არმონაწილეობის (კლასიკური ნეიტრალიტეტი) პარალელურად, დიპლომატიურად აქტიურია. ის გულისხმობს მედიაციას, კონფლიქტების დარეგულირებაში მონაწილეობას და საერთაშორისო მშვიდობისთვის აქტიურ ზრუნვას, ნაცვლად პასიური იზოლაციონიზმისა.

ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ „საერთო გაზეთში" სტუმრად მოვიწვიეთ ანალიტიკოსი, ბატონი დავით ზარდიაშვილი. თუმცა, აუცილებელია აღვნიშნო, — საუბარში იმდენი თემა წამოიწია, რომ გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო ყველაფრის შესახებ ერთ ნომერში დაგვეწერა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ თითოეულ თემას ცალკე დავუთმოთ გაზეთის ფურცლები.

— ჩემს მოსაზრებას მოგახსენებთ — პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებს, აქტიური ნეიტრალიტეტია. ამის შესახებ ხმამაღლა რომ ისაუბროს მთავრობამ, დარჩება შთაბეჭდილება, რომ უპატრონოები ვართ და ზეწოლა, რომელიც ისედაც გვაქვს ყველა მხრიდან, უფრო გაძლიერდება.

ერთია, რას ამბობ ხმამაღლა და მეორე - რას აკეთებ!

რა არის „აქტიური ნეიტრალიტეტი" — არცერთ კოალიციაში არ შედიხარ და ყველა კონფლიქტს თავს არიდებ. რაც მთავარია, აქტიური ნეიტრალიტეტის დროს ქვეყანაში ქმნი ვითარებას, რომ ეს არის ერთგვარი მშვიდობის კუნძული — სტაბილური გარემო და ჩვენი ინტერესების დაცვით ყველა მხარისთვის გახსნილი გზა თანამშრომლობისთვის. ყველას ჰგონია, რომ ეს არის პასიური ნეიტრალიტეტის პოზიციები, სინამდვილეში კი პირიქით არის და საკმაოდ რთულიცაა.

ნეიტრალიტეტის დაცვა რომ შეძლო, ძალიან ძლიერი უნდა იყო. კლასიკიკური აქტიური ნეიტრალიტეტის მაგალითად შვეიცარიას დაგისახელებთ. რელიგიური ომების დროს ევროპაში, სანამ ვესტფალიის სისტემა შეიქმნებოდა, ყველა ყველას ეომებოდა — ჰუგენოტები, კათოლიკეები, კალვინისტები და ა. შ. შვეიცარიამ შეძლო და მყარად შეინარჩუნა ყველაფერი საკუთარი, სტაბილურობაც და პრინციპი „ვისიც არის რეგიონი (ქვეყანა), მისია რჯულიც (რელიგია) — ეს პრინციპი გახდა შემდგომში ვესტფალიის ზავის საფუძველი.

შვეიცარიამ შეძლო და შექმნა ამ ომებში მშვიდობის ერთგვარი კუნძული, სადაც სხვადასხვა ხალხს შორის მოიპოვა ავტორიტეტი და აჩვენა იმის საფუძვლები, რომ იქ მუდამ იქნებოდა სტაბილური მდგომარეობა, ყველას უფლებები თანაბრად და სამართლიანად დაცული. ...და, ამ სივრცეში ხორციელდებოდა ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და ა. შ. ურთიერთობები და გაცვლა-გამოცვლა — შვეიცარიის ბანკები იყო ტრანზაქციების ადგილი. იმ დროს განსაკუთრებული სიმყარე რომ არ ჰქონოდა შვეიცარიას, შეუძლებელი იქნებოდა აქტიური ნეიტრალიტეტის დაცვა.

— რა სიმყარე ჰქონდა შვეიცარიას სწორედაც რომ იმ დროს... გარშემო ხომ არაერთი სხვა სახელმწიფოა, ერთმა შვეიცარიამ ყველა როგორ გადაწონა...

— მაგალითად, ჰყავდა შვეიცარიული გვარდია და ჰქონდა სხვადასხვა ვექტორული დიპლომატიური მოქნილობა, განსაკუთრებული სიახლოვე „ძალის ცენტრებთან". შვეიცარია უზრდიდა პირად დაცვას ევროპის თითქმის ყველა მეფეს, განსაკუთრებით რომის პაპს — მისი პირადი დაცვა შვეიცარიის გვარდიელები იყვნენ. მათ განსაკუთრებული ნიშანი ჰქონდათ და საუკუნეების განმავლობაში იყო ასე. ეს არის პირადი ურთიერთობები, პირადი ერთგულება, გავლენები... მაგალითად, ხომ ხედავთ, რამხელა გავლენა აქვს ზელენსკიზე მის პირად დაცვას, რომლითაც მას ბრიტანული მი-6 უზრუნველყოფს.

რაც უმთავრესია — უდიდესი მოთხოვნა გაჩნდა იმდროინდელ ევროპაში, რომ სადმე ყოფილიყო ომისგან თავისუფალი რაღაც ადგილი, სადაც ადამიანური ურთიერთობები ყველა ასპექტში იქნებოდა შესაძლებელი. შვეიცარიამ იპოვა თავისი ადგილი და ამაზე ააგო შემდეგ თავისი სახელმწიფო — ძალზე ჭკვიანურად მოიქცა.

— ჩვენც ხომ შვეიცარიის ანალოგიურ მდგომარეობაში ვართ ახლა...

— მაგას ვამბობ სწორედ! აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ახორციელებს საქართველო ძალიან ფრთხილად, მაგრამ, შვეიცარიისგან განსხვავებით, ჩვენ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი არ შეგვიძლია.

— ამ ყბადაღებული 78-ე მუხლის ამბავი როგორ არის და რა უნდა ეშველოს...

— ეს საკითხი გაცილებით ღრმა და, შესაბამისად, რთულია. შევხედოთ, როგორი სიტუაციაა მსოფლიოში — აჭრილია. ჩვენი კონსტიტუცია თავიდან ბოლომდე ლიბერალურ-დემოკრატიულია — ამ პარადიგმაში ზის. 78-ე მუხლი არის დროებითი, გარდამავალი დებულება.

— გარდამავალი და დროებითი რომ არის, ეს საზოგადოებამ არ იცის და ამიტომ არის ასეთი აგრესია ამ მუხლზე, თუმცა დაჟინებული მოთხოვნა, რომ ეს მუხლი გაუქმდეს, მეც სამართლიანად მიმაჩნია...

— გარდამავალი დებულება არის დროებითი რეგულიაცია, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ძირითადი ნორმები სრულყოფილად ამოქმედდეს. კონსტიტუციას რომ ვიღებდით, ძირითადი მოთამაშეებისთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ასე სწრაფად მოხდებოდა დასავლური სისტემის რღვევა, ხოლო იმ დროს, საქართველოს, რეალურად, არჩევანი არ ჰქონდა, რადგან სადაც ძალა, სტაბილურობა, უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტიებია, იქითკენ იქნები — ეს ასეა.

ეს ყველაფერი ეჭვქვეშ დადგა 2007 წელს, როდესაც პუტინი გამოვიდა და ცნობილი „მიუნხენის სიტყვა" თქვა; 2008 წელს უკვე ჩვენს ზურგზე გადაიარა ამ ყველაფერმა, რაც სააკაშვილის ის უდიდესი დანაშაულია, რაც კი შეიძლებოდა ჩაედინა თეორიულადაც კი და, შემდეგ უკვე ნელ-ნელა ავიდა ზევითკენ, რაც საბოლოოდ გასკდა და ამოხეთქა უკრაინაში...

ლიბერალური დემოკრატია დაინგრა!

როდესაც 78-ე მუხლზე საუბრობენ, ამას კონტექსტი რა აქვს? — ცოტა უხეშ შედარებას გავაკეთებ: მხოლოდ 78-ე მუხლი რომ ამოიღო, ეს იგივეა, ანბანიდან ბოლო ასო „ჰოე" რომ ამოიღო — დანარჩენს რას უშვრები? მხოლოდ ეს ერთი მუხლი რომ ამოიღო, გაგიჭირდება, თან ეს დროებითია, მართლა „ჰოე"-სავით არის, ხშირად არ იყენებ...

— და რა უნდა ვქნათ, როგორი თანმიმდევრობა უნდა დავიცვათ — ახალი კონსტიტუცია უნდა მივიღოთ?

— რასაკვირველია! უნდა დაუბრუნდეს თავის მოდუს ვივენდის *(მოდუს ვივენდი – ნიშნავს დროებით შეთანხმებას, რომელიც იდება ხანმოკლე ვადით და იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ხელისშემშლელი პირობები მუდმივი ან გრძელვადიანი შეთანხმების დასადებად. ზოგ შემთხვევაში დოკუმენტი, რომელიც მოდუს ვივენდის აწესებს, შეიძლება ატარებდეს მხარეთა ხელმოწერილი ხელშეკრულების (შეთანხმება, კონვენცია) ფორმას. ყველაზე ხშირად მოდუს ვივენდი წესდება ნოტების გაცვლის შედეგად. ზოგჯერ მოდუს ვივენდი მიუთითებს საერთაშორისო სამართალში არსებულ სიტუაციაზე, როდესაც მხარეები შეთანხმებისა და ხელშეკრულების არარსებობის მიუხედავად, ხანგრძლივი ვადის განმავლობაში იცავენ გარკვეულ ნორმებს.)* აღარ უნდა იყოს დამოკიდებული გარე კონიუნქტურაზე. ეს ნიშნავს საქართველოს მოდუსთან დაბრუნებას, რომელიც არის არეოპაგული, რაც გაცხადდა X საუკუნეში — „ოქროს ხანა" ამ საფუძველმა შექმნა. მანამდე გრიგოლ ხანძთელი იყო და საქართველოს იდენტობის იურიდიული ფორმულა გენიოსი იურისტის, გიორგი მერჩულეს დაწერილია.

„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების", - ამ სიტყვებით განმარტა გიორგი მერჩულემ ჯერ კიდევ X საუკუნეში ჩვენი ქვეყნის იდენტობა, რომელიც სამ ძირითად საყრდენს ეფუძნება. ცხრა საუკუნის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ ეს იდენტობა კიდევ უფრო ლაკონურად,

სამი სიტყვით გამოხატა - მამული, ენა, სარწმუნოება. ლიტურგია ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს კეთილმსახურებას. საუბარი არ არის მხოლოდ საეკლესიო მსახურებაზე — ამ იდენტობის მიზანი საჯარო კეთილმსახურებაა.

„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი" - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიერ დამკვიდრებული თანამედროვე ეროვნული ფორმულა იგივეა. ის ეფუძნება ილია ჭავჭავაძის კლასიკურ პრინციპს „ენა, მამული, სარწმუნოება", რომლის გაგრძელებადაც და გათანამედროვებად იქცა ეს სამი ძირითადი ღირებულება.

მოდერნმა კლასიკურ ყოფიერებას დაუსვა შეკითხვა: რა საჭიროა ღმერთი? და პასუხიც გასცა — არ არის საჭირო! მოდი, ადამიანი იყოს ღმერთი! ავაგოთ სისტემები — ლიბერალური დემოკრატია!

— და რა საჭიროა ლიბერალური დემოკრატია? ღმერთის ჩამოგდება თუ შეიძლება, რა გახდა ეს ლიბერალური დემოკრატია, ჩამოვაგდოთ!

— ზუსტად მიაგენით!

და აი, აშშ-ში დაიწყო უკვე „ბნელი განმანათლებლობა" — ესენი უკვე ჰუმანიზმსაც ამხობენ. მისი ფუძემდებლები არიან ფილოსოფოსი ნიკ ლენდი და პროგრამისტი კერტის იარვინი. ჯერ ესკიზური მონახაზია, რაიმე მყარი იდეოლოგიური სისტემის სახით არ გაფორმებულა, თუმცა არსებითად უკვე განსაზღვრა პოლიტიკური პროცესების განვითარების ვექტორი — გახდა ერთ-ერთი მთავარი სოციალურ-პოლიტიკური ტენდენცია, განსაკუთრებით „სილიკონის ველის" ოლიგარქიულ ელიტაში *(„სილიკონის ველი" – ასე ჰქვია თანამედროვე სამყაროს ინოვაციური ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს ზონას. ის წლების განმავლობაში მსოფლიოს უდიდესი ტექნოლოგიური კორპორაციებისა და სტარტაპების სამშობლოდ იქცა – სწორედ აქ მდებარეობს ნახევარგამტარების ინდუსტრიის ძირითადი საწარმოები).*

ნიკ ლენდი ამბობს, რომ ადამიანი არის ისტორიის შეცდომა.

6 გვ. →



618 გვერდში ჩატეული გრიგოლ სუნის აბრაკადაბრა საქართველოზე

ამასაც მოვესწარით, სომეხმა საქართველოს ისტორია დაგვიწერა სათაურით: „ქართველი ერის ჩამოყალიბება“. ეს გახლავთ რონალდ გრიგორ სუნი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის 86 წლის პროფესორი, თანაც დამსახურებული. თვითონ ამბობს, ჩვეულებრივი სომეხი არ გეგონოთ, ამერიკელი გახლავართო. ადრე მამამისს, გურქენ სუნს უცხოვრია თბილისში და მერე წასულა, რონალდი ფილადელფიაში დაბადებულა. თბილისში რამდენიმეჯერ ჩამოსულა 1970-იან წლებში. ერთხელაც სტენფორდის უნივერსიტეტში შეუვლია, პროფესორ უეინ ვუჩინიჩს შეუთავაზებია, საქართველოს ისტორია დაწერეო და ამანაც დაწერა. მგონი, ვუცინიჩმა ისიც უთხრა, ქართველები თავიანთ ისტორიას ვერ წერენ, შენ დაუწერეო. გრიგორ სუნის მიერ დაწერილი „ქართველი ერის ჩამოყალიბება“ პირველად 1988 წელს გამოიცა, შემდეგ - 1994 წელს, ახლა კი ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის ხელშეწყობით ხელახლა ითარგმნა და ახალი ვერსია გამოიცა. აი, რას ამბობს თავად გურქენიჩი თავისსავე წიგნზე:

„საქართველოში წიგნი მაინცდამაინც კარგად არ მიუღიათ. რატომ დაწერა ამერიკელმა, სინამდვილეში კი - სომეხმა საქართველოს ისტორია? ეს იყო საქართველოს ისტორიის „ბურჟუაზიული“ ფალსიფიკაცია, არაკომპეტენტური უცხოელის თანაც, უარესი - სომხის დაწერილი. ან რატომ ჰქონდა სათაურად „ქართველი ერის ჩამოყალიბება“, როცა მეტწილად მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებს ეხებოდა და არა ქვეყნის უძველეს თუ შუა საუკუნეების ისტორიას? ჩემი ნაწერი და მისი არგუმენტაცია აშკარად არასწორად გაიგეს საბჭოთა და ქართველმა კრიტიკოსებმა, მათ შორის - მიხეილ საკაშვილის დედამ, ისტორიკოსმა გიული ალასანიამ. თუმცა წიგნს მაღალი შეფასება მისცეს - ყოველ შემთხვევაში, პირადი საუბრისას მაინც - პოლიტოლოგმა ალექსანდრე რონდელმა და დიპლომატმა გელა ჩარკვიანმა. ამ წიგნის სათქმელი ისაა, რომ ქართველები - ხალხი, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს და პოლიტიკური არსებობის არაერთი ფორმის, დამოუკიდებლობისა და სახალმწიფოებრიობის გამოცდილება აქვს, მოდერნულ ერად XIX-XX საუკუნეში იქცა. ეროვნულობის განცდა ქართველებს პატრიოტმა ინტელექტუალებმა, ბარათაშვილმა, ერისთავმა, ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა გაულვივეს“.

ამ კაცის გაკიცხვა საიდან დავიწყო, აღარც კი ვიცი - თავიდან, ბოლოდან თუ შუადან? თავის დროზე, როცა ეს წიგნი გამოვიდა, ქართველებს მართლა არ მიუღიათ კარგად, ამას თავადვე აღიარებს და ქართველები მართლებიც ყოფილან. მართალია, მათ შორის გიული ალასანიაც გახლავთ დასახელებული, მაგრამ ამ შემთხვევაში მასთან პრეტენზია არ უნდა გვქონდეს, როგორც ამბობენ, ნორმალური ისტორიკოსია. სამაგიეროდ, ნახეთ, წიგნისთვის მაღალი შეფასება მიუციათ ალექსანდრე რონდელს და დიპლომატ გელა ჩარკვიანს. თან წერილობით კი არა, ზეპირსიტყვიერად, პირად საუბარში. ეს ორივე ადამიანი გარდაცვლილია, არაფერს ვიტყვი, მაგრამ ერთს მაინც შევნიშნავ - ამათ ენჯეოსექტორიდან რასაც დაავალებდნენ, იმას იტყოდნენ, ყოველ შემთხვევაში, პირად საუბარში მაინც.

პირდაპირ გრიგორ სუნის 618-გვერდიან წიგნ-პროვოკაციაზე გადავალ: ნახეთ, შესავალშივე ასე გვამცირებს - ხალხი, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს და პოლიტიკური არსებობის არაერთი ფორმის, დამოუკიდებლობისა და სახალმწიფოებრიობის გამოცდილება აქვს, მოდერნულ ერად XIX-XX საუკუნეში იქცაო, ეროვნულობის განცდა ქართველებს პატრიოტმა ინტელექტუალებმა, ბარათაშვილმა, ერისთავმა, ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა გაუღვივესო. წარმოგიდგენიათ? თურმე ბარათაშვილამდე, ყიფიანამდე, ჭავჭავაძემდე და აკაკი წერეთლამდე ჩვენ ერი არ ვყოფილვართ. სხვათა შორის, რადიო „თავისუფლების“ ვებგვერდზე ერთი „ენჯეოშნიკის“ შეფასება წავიკითხე, ჟურნალისტი ეკითხება, გრიგორი სუნი ამას რომ ამბობს, რას ფიქრობთო? ისიც „აპრავებს“, სუნი მართალია, შეიძლება გერბიც გქონდეს, დროშაც, ჰიმნიც, ტერიტორიაც, სახელმწიფოც, მაგრამ ერი მაინც არ იყო, ჩვენ XIX საუკუნემდე ერი არ ვიყავითო. ყოჩაღ, ამის თქმას მხოლოდ აგენტურის წარმომადგენელი თუ მოახერხებს. არ დაგავიწყდეთ, ეს გახლავთ არა ისტორია, არამედ გაუთვითცნობიერებელი ახალგაზრდებისთვის დაყრილი საკენკი. გრიგორი სუნი შესავალში წერს, 2018 წელს ისევ ჩამოვედი თბილისში ისტორიის საკვლევ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად და გამიხარდა, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩემი ნაშრომისადმი მტრული დამოკიდებულება გამქრალაო, ისტორიკოსების ახალგაზრდა თაობა ცდილობს, საქართველოს ისტორია იმ ვიწრო შოვინიზმისგან გამოიხსნას, რომლითაც იგი გვიან საბჭოთა და ადრეულ პოსტსაბჭოთა წლებში იყო დასნეულებული. გესმით? ჩვენი ისტორია აქამდე ყოფილა დასნეულებული, დაავადებული, ავადმყოფი, ხოლო გრიგორი სუნის, ამ გაამერიკელებული სომეხის წყალობით ნელ-ნელა ჯანსაღდება და ამას უკვე ხედავს ახალგაზრდა ისტორიკოსებში.

გრიგორი სუნი ჩვენს ხუმრობანარევ ლეგენდასაც აბიაბურებს, გვიწუნებს და გვეუბნება, თქვენი ისტორია სინამდვილეში უფრო ბუნდოვანია, ვიდრე გგონიათო:

„დღეევანდელ ქართველებს უყვართ ხოლმე მოყოლა, როგორ გადაეყარა ღმერთი ქართველებს მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყანა სხვა ერებს დაუნაწილა. ქართველები, როგორც ყოველთვის, ნადიმობის გუნებაზე ყოფილან და ღვინის სმასა და ცეკვა-თამაშში შემოქმედიც მიუწვევიათ. ისე მოსწონებია უფალს ქართველებთან დროის ტარება, რომ გადაუწყვეტია, ამ ლაღი და უდარდელი ხალხისთვის ის მიწა ებოძებინა, რომელიც თავისთვის ჰქონდა გადანახული. სამწუხაროდ, ქართველების ეთნოგენეზი სინამდვილეში გაცილებით ბუნდოვანია, ვიდრე ამ სახუმარო გადმოცემაში მისი საიდუმლოს ამოსახსნელად მეცნიერებს არაერთი ლინგვისტური თუ ისტორიული და არქეოლოგიური მოწმობა მოაქვთ ხოლმე“.

ესე იგი, გრიგორი სუნის მტკიცებით, ჩვენ, ქართველებს გაცილებით რთულად გვაქვს საქმე, ვიდრე მეცნიერები გვიხატავენ და ლინგვისტური თუ არქეოლოგიური მოწმობა მოაქვთ ხოლმე. ამით გვეუბნება, დმანისში და სხვა ადგილებში ვითომ რაღაცები რომ აღმოაჩინეთ, ეგ ტყუილია, თქვენი ერად ჩამოყალიბების ისტორია ორიოდ საუკუნის წინათ დაიწყოო. მეტიც, ეგ თქვენი ლეგენდაც მოგონილია, ტყუილად ეყრდნობით, თქვენი ეთნოგენეზი ძალიან ბუნდოვანიაო. ჯერ ერთი, საქართველოში არც მეცნიერს, არც პოლიტიკოსს, არც ჩვეულებრივ მოქალაქეს ეს ე. წ. ლეგენდა არასდროს გამოუყენებია იმის მტკიცებულებად, რომ ღმერთმა ქართველებს თავისთვის განკუთვნილი ადგილი გვაჩუქაო. როგორც ჩანს, გრიგორი სუნი იუმორზე რამდენჯერმეა აცრილი და ხალხის მიერ გამოგონილ ლეგენდას მეცნიერული მტკიცებულებისგან ვერ განასხვავებს. ნება მიბოძეთ, თუ ამ წერილს წაიკითხავს, ავუხსნა, სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე: მისტერ სუნ, აზრზე მოდით, ხიდზე გადით, ცოტა ხანს იქვე ჩამოჯექით, ეს ამბავი ქართველებმა გამოიგონეს საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე, უფრო სწორად, საკუთარი ხასიათის დასახატად - როდესაც უფალი მიწებს არიგებდა და სხვები რიგში იდგნენ, ქართველები ქეიფობდნენ. ერთხელაც გამოფხიზლდნენ, მივიდნენ უფალთან და მიწები აღარ ჰქონდა, რა უნდა ექნა? ადგა და თავისი წილი გვაჩუქა. ამიტომაც ჰქვია საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. რაკი ასე იყო, რაკი ასე მოვიგონეთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ ყალთაბანდები, უსაქმურები, არაფრის მაქნისები და მხოლოდ მოქეიფეები ან ლოთები.

თუკი ჩვენ, ქართველები ერად მხოლოდ ორიოდე საუკუნის წინათ ჩამოვყალიბდით, მაშინ ვინ ვიყავით მანამდე? რა გამოდის, დმანისში აღმოჩენილი ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები უძველესი რომ არის მთელ ევრაზიაში, რომლის ასაკი 1 800 000 წელია, ეს არაფერს ნიშნავს? დიაოხი, კოლხა, კოლხეთის სამეფო, იბერიის სამეფო, ფარნავაზი, დამწერლობის შექმნა, გორგასალი, 888 წელს ქართველთა სამეფოს შექმნა, გაერთიანებული სამეფოს პირველი მმართველი ბაგრატ მესამე, შემდეგ დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ეს ყველაფერი მოგონილია? ჩვენში რომ ქრისტიანობა IV საუკუნეში გავრცელდა, ესეც მოგონილია? „შუშანიკის წამება“, „აბო თბილელის მარტვილობა“, მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, გელათის აკადემია, იყალთოს აკადემია, უამრავი ეკლესია-მონასტერი, ლეონტი მროველი, გიორგი მთაწმინდელი, ესეც მოგონილია? მაშინ, როცა დღევანდელი ევროპიელები ტყეში დარბოდნენ და გრეგორი სუნის მეორე სამშობლო, ამერიკა საერთოდ არ არსებობდა, დავით აღმაშენებელმა მწიგნობართუხუცესის თანამდებობა შემოიღო. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ვინაიდან ამ თემაზე წერის დასრულებას ამით არ ვაპირებ, შემდგომში კიდევ ჩამოვთვალი, თქვენ ის უნდა ნახოთ, რას წერს მისტერ სუნი ზვიად გამსახურდიას პერიოდზე და როგორ ახასიათებს ზვიად გამსახურდიას.

ბოლო-ბოლო, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები? თუ ერად ორი საუკუნის წინ ჩამოვყალიბდით, ვინ ვიყავით მანამდე? რას ამბობს ამაზე წიგნის ავტორი? ჩვენ ვიყავით, უბრალოდ, ხალხი. გასაგებია? ვიყავით ხალხი და არა ერი.

რომ არა ახალი 618-გვერდიანი გამოცემა, ამ ე. წ. ისტორიულ აბრაკადაბრაზე დროს არ დავკარგავდი და არც თქვენ დაგაკარგინებდით, მაგრამ, რაც წარსულში გავატარეთ, ყველაფერი ცუდად შემოგვიბრუნდა. ამიტომ, გადავწყვიტე, ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ შევარჩინო ამერიკაში გადახვეწილ სომეხ „მეცნიერს“.

ამ ყველაფერს ძალიან ცუდი სუნი უდის, მისტერ სუნ!

გელა ზედელაშვილი



განვაგრძობთ საუბარს ოთხგზის მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში
რომან რურუასთან:

„მე“ „ჩვენ“-ით უნდა შევცვალოთ!

— ბატონო რომან, წინა ინტერვიუში ბრძანეთ, რომ ბუნებრივი რესურსი საქართველოს მოსახლეობას ეკუთვნის, რომელიც საერთო სარგებლობაში უნდა მოექცეს და მოქალაქეებზე თანაბრად გადანაწილდეს.

— ამაზე უფრო რეალური სიმდიდრე ქართველებს არ გაგვაჩნია. ჩვენ ის გვაქვს, რაც სხვა ერებს არ აქვთ. მეტიც, საქართველო მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას სჭირდება, რათა ბუნებრივი რესურსი შეუფერხებლად მივაწოდოთ. ეს არის წყალი, რისი მსოფლიოსთვის მიწოდებაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. საქართველო კონკურენტუნარიანი, წიაღისეული სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გატანის უპირატესობის მქონე მსოფლიო მნიშვნელობის, ერთ-ერთი წარმატებული სახელმწიფო უნდა გახდეს. მეცნიერთა გათვლებით, საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგების მხოლოდ 0,75% იქნება გამოყენებული, რადგან საქართველოში არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა მეტ ტვირთს ვერ გაატარებს, ხოლო დარჩენილ სასმელი წყლის მარაგზე ავტორს საკმაოდ ჭკვიანური მოდელი აქვს მოფიქრებული, რაც გადაყვანილია ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეში და ეს შესაბამისი ფასების ინდექსაციით, უზარმაზარ ქონებას წარმოადგენს. პროექტის ხორცშესხმის შემთხვევაში, სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოების წევრი გახდება საქართველოს მკვიდრი ყველა მოქალაქე, რომელსაც უფასოდ გადაეცემა ასეულ ათასობით აშშ დოლარის „მატერიალური ღირებულებების“ ერთი აქცია საკუთრების უფლებით. იგივე უფლება მიენიჭება ყოველ ახალდაბადებულ ბავშვს. აქცია მემკვიდრეობით არ გადადის, რადგან ეს არათანაბარ გადანაწილებას გამოიწვევს.

— საკმაოდ შთამბეჭდავი პროექტია, მაგრამ რამდენად რეალურია მისი განხორციელება?

— ამ თემაზე მეცნიერები წლებია, მუშაობენ. იმედი მაქვს, საქართველოს მთავრობა პოლიტიკურ ნებას გამოხატავს და მხარს დაგვიჭერს. მეტი თვალსაჩინოებისთვის თუ რასთან გვაქვს საქმე, პროგრამის კონცეფციის ძირითად დეტალებზე მოგახსენებთ. პირველ რიგში, საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში 190-მდე სასმელი წყლის ჩამოსასხმელ-დამფასოებელი ქარხანა უნდა აშენდეს. დასაწყისისთვის 80-100 ათასამდე სამუშაო ადგილი შეიქმნება. ამ კონცეფცია-პროგრამის რეალიზაციით საქართველოს ბიუჯეტში ყოველწლიურად 2,5 მილიარდი დოლარის ეკვივალენტი ჩაირიცხება. გარდა ამისა, განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შეიქმნება, პორტებისა და ტერმინალების ტვირთბრუნვა გაიზრდება. ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებისთანავე მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიური მოდელის გამოყენება ახალი ფინანსური ინსტრუმენტის ფორმირებას უზრუნველყოფს, რაც მსოფლიოს უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიაა დარგობრივ-ეკონომიკური პროექტებისთვის საჭირო გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად. ასევე, შეიქმნება მრავალმილიონიანი ფონდი ბუნების აღდგენისა და განვითარებისთვის. მინდა გითხრათ, რომ მიღებული შემოსავლების რეინვესტირებით მეათე წელს საქართველოში მაღალი ანაზღაურებით დასაქმდება 450 ათასამდე ადამიანი, ხოლო ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები გაიზრდება და ათეულობით მილიარდ დოლარს მიაღწევს, რასაც ფინანსური ნაკადების ბრუნვის ბიზნესგეგმა ადასტურებს.

— რა უშლის ამ დრომდე ხელს მის განხორციელებას?

— ხელისშემშლელ მიზეზებს ადამიანის იმ მისწრაფებაში ვხედავ, რაც მის ბუნებაში ყველაზე მეტად არსებობს და ეს არის მისი „მე“! ჩვენი მიზანია როგორმე „მე“, წყლის სარგებლობასთან მიმართებაში, “ჩვენ“-ით შევცვალოთ. მაშინ ამ რეალობას ხელს ვერავინ შეუშლის, რაც ერთად და მშვიდობიანად ცხოვრებას შეგვაძლებინებს. სხვა შემთხვევაში, გაჩნდებიან „ისინი“ და ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ.

წყალი ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა, რომელიც ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ უნდა გამოვიყენოთ. საქართველო ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა უნდა გახდეს. სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგები უნდა დაკანონდეს ქვეყნის სტრატეგიულ რესურსად, მისი განკარგვის უფლებით ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ რამდენად უსაფრთხოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის წყალი, რომელსაც ვსვამთ?

— კარგი შეკითხვაა, მინდა გითხრათ, რომ ხუთი წლის წინათ სხვა ყველა ადამიანის მსგავსად, მეც ონკანის წყალს ვსვამდი. დავსვათ შეკითხვა: ონკანის წყალი რატომ იქლორება? — მავნე ელემენტები რომ მოკლას, ხომ. მაგრამ წყალში ხომ მავნე ელემენტებიც არის და სასარგებლოც. თუ სასარგებლოსაც ვკლავთ, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ მკვდარ წყალს ვსვამთ. რატომ მალევინებ ასეთ წყალს?! დიახ, ხუთი წელია, წყალს პლასტმასის ბოთლიდან ვსვამ, მაგრამ განა ის უკეთესია? — ათასგვარ სიმსივნეებს იწვევს. მაშ, რა დავლიოთ?! აი, ისევ მთავარ სათქმელთან მივედით. თუ იმას არ გავაკეთებთ, რაზეც ზემოთ ვისაუბრე, ჩვენს სიმდიდრეს — მთავარ ბუნებრივ რესურსს წაგვართმევენ. მერე აქაც მადუროსავით ჩვენს პრეზიდენტს კი არ დაიჭერენ, ქონებას წაგვართმევენ! ეს ქონება ყველაზე ძლიერი საშუალებაა ჩვენი ქვეყნის მშვიდობის, ჯანმრთელობის, ფინანსური სიძლიერის, განვითარების, გამრავლების, ომის გარეშეEცხოვრებისთვის. ვერცერთი ქვეყანა ომს ვერ დაგიწყებს, თუ ამ ქონებას სწორად გამოვიყენებთ. ეს კი როგორც მოგახსენეთ, არის წყალი, რომელიც ღმერთმა ჩვენ მოგვაკუთვნა და რომელიც უაღრესად უზომო გვაქვს — ეს არის მიწისქვეშა სასმელი წყალი, რა მიმართულებითაც მუშაობა ჩვენმა მეცნიერებმა 80 წლის წინათ დაიწყეს. არსებობს ჭაბურღილები, საიდანაც შეგვიძლია წამში 573მ-კუბი წყალი მივიღოთ.

სამწუხაროდ, ამ პროგრამით არავინ ინტერესდება.

დააკვირდით, როგორი აქტუალურია დღეს გაერო-ში წყლის საკითხებზე ყურადღების გამახვილება. რას სვამს ხალხი მსოფლიოს რიგ გაჭირვებულ ქვეყნებში? — მე ვნახე მოსახლეობა, რომელიც ჭურჭელში წვიმის მღვრიე წყალს ქაფჩით აგროვებდა და სვამდა. ინდოეთში რაც ვიხილე, იქ, ალბათ, ვერც წავალ — წყალს თბილისიდან ხომ არ წავიღებ. ინდოელები რომ გაიგებენ საქართველოში არსებულ წყლის რესურსზე, ხომ დაინტერესდებიან?! კი ბატონო, რუსეთს საქართველოზე დიდი წყლის რესურსი აქვს, მაგრამ იქაურ წყლებს ხარისხი არ უვარგა. 573მ-კუბი წამში, რაც ზემოთ ვახსენე, ჩვენი შესაძლებლობების, რაც შესწავლილია, 10%-ია. უფრო ქვემოთ სიღრმეში ჩასვლა ვერ შეძლეს, ანუ 90% შეუსწავლელია. ამ რესურსს ქმნის თრიალეთისა და კავკასიონის ქედებიდან ჩამონაჟონი წყლები, რომლებიც ოკეანეში გაედინება.

აქვე ერთ სასწაულს გეტყვით: ქსნის მინის ტარის ქარხანა, რომელიც რუსებმა საკუთარი ფულით ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიისთვის ააშენეს, რომელიც სოფლის მეურნეობაში ნომერ პირველი საშუალებაა ღვინო, არაყი, კონსერვი, ყველაფერი მინაში მოათავსო, შევარდნაძემ ეს 400-მილიონიანი ქონება, დემირელს ოთხ მილიონად მიჰყიდა იმ მოტივით, ჩვენ ვერ ავამუშავებთო. აი, ამას ვუწოდებ გაუნათლებლობას, სხვა კი არაფერს. ხომ უნდა იცოდე, შუშას რა დატვირთვა აქვს პროდუქციის გასაგზავნად?! წყალი საექსპორტოდ რაში უნდა ჩამოვასხათ? — შუშაში. ეს ადვილი ხომ არ გგონიათ. ამ ქარხნის დახმარებით თურქებმა ჩრდილოეთ კავკასიის და სამხრეთ კავკასიის ბაზარი დაიპყრეს. ქარხანა მათი საკუთრებაა — გინდ აამუშავებენ, გინდ — არა. რომ ვამბობთ, პლასტმასის ბოთლები უნდა ავკრძალოთო, მერე რა უნდა ვქნათთ?! ანუ, ქსნის მინის ტარის ქარხანა დასაბრუნებელი გვაქვს, რადგან თავის ფუნქციას არ ასრულებს. ბოთლებში რომ ჩამოასხა პროდუქცია, თურქებს უნდა ეხვეწო, შეუთანხმო, დაიანგარიშო, რა რაოდენობა გინდა და ა. შ.

წყლის პროგრამა, რაზეც წლებია, ნაფიქრი და ნამუშევარი მაქვს, მინდა მთავრობასთან შევათანხმო და პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების გაანალიზებაზე, ახლის დანერგვაზე ვიმსჯელოთ. მთავარია, სწორი პოლიტიკური მიდგომა, ტაქტიკა ავირჩიოთ. დიახ, ამ საკითხზე ხელისუფლებასთან შეხვედრა უნდა შედგეს. თუ ეს პროექტი ამუშავდა, ეს ქვეყნისთვის დიდი საქმე იქნება. რა შედეგებსაც მივიღებთ, ამაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ვიმეორებ, აუცილებელია, ქვეყანას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი, მოკლევადიანი პროგრამა ჰქონდეს და განვითარების სწორ გზას მიჰყვეს.

თამარ შველიძე

ვისიც არის რეგიონი, მისია რჯულიც

← 4 გვ.

გარდამავალი ეტაპი — ტექნოლოგიები ისე უნდა განვითარდეს, რომ ადამიანის საჭიროება აღარ იყოს... ანუ ეჯახებიან ონტოლოგიურ კედელს (ონტოლოგია — ყოფიერების მოძღვრება), ხდება დეჰუმანიზაცია.

ნახეთ, რა მოხდა, ამაზრზენი აქტი — რაკეტა ესროლეს ირანის სულიერ ლიდერს და ამით ამაყობენ...

— ამ აქტის მიზანი რა იყო, ვერ ვხვდები — აღარ არის ერთი, არის მეორე...

— რა იყო და, ახლახან გამოვიდა — „პალანტირის მანიფესტი“ ჰქვია — ეს არის „ბნელი განმანათლებლობის“ ავანგარდი ვინც არის „სილიკონის ველზე“. ერთ-ერთი უძლიერესი კომპანიაა, ტრამპის ერთ-ერთი მთავარი დონორი პიტერ თ(ტ)ილი — საკმაოდ ჭკიანი კაცია, მულტიმილიარდერი. მას აქვს კომპანია „პალანტირი“, ხელოვნური ინტელექტის უახლეს საინფორმაციო-ტექნოლოგიებზე დამყარებული პოლიციური სისტემების მწარმოებელი კამპანია. სახელი აღებულია „ბეჭდების მბრძანებლიდან“ პალანტირის კოშკის შთაგონებით. თვალის უნივერსალური სისტემა აქვს. სალვადორი ცნობილი იყო როგორც ყველაზე კრიმინალური ქვეყანა, იქ დააყენეს ეს სიტემები და დამყარდა ტოტალური კონტროლის სისტემა.

— ჩვენც მასე არ ვართ? — ჩემს ყოველ ფეხის ნაბიჯს სისტემა მიკონტროლებს...

— ჩვენ მთლად მასე არ ვართ... „პალანტირის“ აღმასრულებელია დირექტორია ალექს კარპი, რომელმაც შარშან წიგნი გამოსცა „ტექნოლოგიური რესპუბლიკა“ და ახლა გამოაქვეყნა „პალანტირის მანიფესტი“, სადაც ამბობს, რომ ყველა კულტურა არ არის თანაბარზომადი და რომ დავალაგოთ, არიან რეგრესული კულტურები და რეგრესული ცივილიზაციები. ის აღარ უთქვამს, ჩვენ გადავწყვეტთ, რომელია რეგრესუ-

კაია კალასის თითის ქნევა ქართველებს ვერ შეგვაშინებს!

გვესაუბრება „საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე, პოლიტოლოგი ალი ბაბაევი:

— ბატონო ალი, აზერბაიჯანის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ევროპარლამენტთან ყველა ფორმის თანამშრომლობა შეაჩეროს. რით არის ეს განპირობებული და როგორ აფასებთ ამ გადაწყვეტილებას?

— საქმე ის არის, რომ ევრობიუროკრატები განვითარებულ, სტაბილურ ქვეყნებში დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობენ. სწორედ ამის დასტურია ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია მთიანი ყარაბაღის სომხური მოსახლეობის მხარდასაჭერად. რეზოლუცია ითვალისწინებს მთიანი ყარაბაღის ყოფილი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სომხური მოსახლეობის უფლებების მხარდაჭერას. მათ შორის, იდენტობის, ქონებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობას და უსაფრთხო, შეუფერხებელი და ღირსეული დაბრუნების უფლებას სათანადო საერთაშორისო გარანტიებით, რასაც აზერბაიჯანული საზოგადოების მხრიდან აღშფოთება მოჰყვა. შედეგად, აზერბაიჯანის პარლამენტმა მიიღო დადგენილება, ევროპარლამენტთან თანამშრომლობა შეწყვიტოს.

ევროპარლამენტის მხრიდან ამ საკითხში ჩარევა მიუღებელია. იგივე ჩარევები ხდება საქართველოსთან მიმართებითაც. ჩვენ წინააღმდეგ არ ცხრება ევრობიუროკრატების მუქარები, რომლებიც სანქციებით გვაშინებენ. იმის ნაცვლად, რომ ევროპა ჩვენს ქვეყანასთან კარგი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდეს, პირიქით, დაძაბულობა შემოაქვს და ხელისუფლების ცვლილებისთვის იბრძვის. გაიგონ, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელსაც თავისი კონსტიტუცია, ჰიმნი აქვს. დამოუკიდებელი ქვეყნისთვის მითითებების მიცემა არავის შეუძლია. ევრობიუროკრატები, რომლებიც საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე საუბრობენ, კარგად გაეცნონ, რას ნიშნავს დემოკრატია და ადამიანის უფლებებისა თუ საერთაშორისო სამართლის კანონების დაცვას ჯერ თავიანთ ქვეყნებში მიხედონ.

აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ საქართველოს და აზერბაიჯანს გეოპოლიტიკურად ისეთი მდებარეობა აქვთ, ისინი ევროპას მეტად სჭირდება, ვიდრე მათ ევროპა. დღეს ევროპა კრიზისშია. აზერბაიჯანი მის ექვს ქვეყანას გაზის, ნავთობის მიწოდებით ეხმარება. ევროპელები გათავხედდნენ. მათი პოლიტიკა სხვა დამოუკიდებელ ქვეყნებს ზიანს აყენებს. დააკვირდით, რა დღეშია უკრაინა, ირანი, მოლდოვა, სადაც გარე ძალების ჩარევით მშვიდობის დამყარების ნაცვლად, დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობენ.

დიახ, ევროკავშირი მაშინ, როცა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა ლაგდება, რეგიონში ურთიერთობას ძაბავს. ზუსტად ევროპარლამენტის რეზოლუციიდანაც ჩანს, რომ მათ კავკასიის რეგიონში სტაბილურობა არ უნდათ. ვფიქრობ, თავად აზერბაიჯანელი ხალხის ნებაა, თავის ქვეყანაში ვინ დაასახლოს და ვინ გადაასახლოს. ევრობიუროკრატებს უფლება არ აქვთ მიუთითონ, როგორ იცხოვრონ. ასე რომ, აზერბაიჯანის პარლამენტის გადაწყვეტილებას მივესალმები. ევროპელებმა ჭკუა უნდა ისწავლონ, ვის როგორ ელაპარაკონ.

— კალასი ქართველი ხალხის „მხარდაჭერას“ განაგრძობს, ხელისუფლებას კი კვლავ სანქციებით ემუქრება.

— ევროპელებს ვურჩევ, უკეთ გაერკვიონ, რა არის დემოკრატია, საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებების დაცვა. საქართველო მსოფლიო ბანკის და სხვა ავტორიტეტული ინსტიტუტების კვლევებით, არაერთი პარამეტრით უსწრებს კანდიდატ და ევროკავშირის წევრ რიგ ქვეყნებსაც. კალასი და მისი გუნდი კორუფციის ჭაობში არიან ჩაფლულნი და ამ დროს იცლიან, საქართველოს სანქციებით დაემუქრონ.

მე არ მინდა ევროკავშირში შესვლა, რომელსაც ისეთი უტვინო ხალხი მართავს, რომელიც ჩვენი ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას ცდილობს. წარმოიდგინეთ, მზად არიან, ტერორისტული ორგანიზაცია — „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში დააბრუნონ, მაშინ, როცა სასამართლო ამ პარტიის აკრძალვის საკითხს განიხილავს!!! აი, ასეთ ძალას უჭერენ მხარს. აქაური აგენტები ევროპარლამენტის დერეფნებში დადიან და საქართველოს აბეზღებენ, თან რაღაც სისულელეებს წერენ, რაც მერე ევროპარლამენტის რეზოლუციებში ხვდება. გაიძახიან, ხელისუფლება ქვეყანას რუსეთისკენ მიაქანებს და ევროპული კურსიდან უხვევსო. ჩვენთვის რუსეთი დამპყრობელი ქვეყანაა, რომელმაც ტერიტორიების 20% წაგვართვა. ამის მერე, სრულ ჭკუაზე მყოფმა როგორ უნდა თქვას, საქართველოში რუსული რეჟიმიაო. რა უნდა ელაპარაკო ამ ხალხს, როცა უკრაინაში ომია გაჩაღებული და თავად მათი ქვეყნების მთავრობებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები და ბიზნესები აქვთ. ჩვენ ევროპას უნდა ვაჩვენოთ, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერი ვართ, რომელსაც მათი თითის დაქნევის არ ეშინია. ასეთი ევროპა არ გვჭირდება. სად იყვნენ მაშინ, როცა რუსეთმა საქართველოს 20% დაიპყრო, რატომ მაშინ არ ყვიროდნენ?! დიახ, მე არ მწამს დღევანდელი ევროპის პოლიტიკის, რადგან დემოკრატიულ ფასეულობებს თავად ღალატობენ.

— ბოლო დროს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე რას გვეტყვით?

— ქვეყანაში საკადრო ცვლილებები აუცილებელია. როგორც იცით, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და პოლიტსაბჭოს ყოფილი წევრი ვარ. ამ ცვლილებებმა სერიოზული შედეგები დადო თუნდაც ნარკობიზნესთან ბრძოლის კუთხით. სამწუხაროდ, ნარკოტიკების დიდი რაოდენობით რეალიზაციაში რუსეთიდან, უკრაინიდან ჩამოსული ლტოლვილებიც არიან გარეულნი. მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა საქართველოში ნარკორეალიზაცია მოისპოს.

სერიოზული სამუშაო ტარდება მიგრაციის კუთხითაც. საქართველოში უკანონოდ მცხოვრები მიგრანტები ქვეყანას დიდ ზიანს აყენებდნენ, რომელთა დიდი ნაწილი გაძევებულ იქნა. ვფიქრობ, უცხოელმა რომელმაც აქ დანაშაული ჩაიდინა, სასჯელი საკუთარ ქვეყანაში უნდა მოიხადოს, რადგან ეს ბიუჯეტს ზიანს აყენებს. თანაც, მათ საქართველოში შემოსვლა სამუდამოდ უნდა აეკრძალოთ. მისასალმებელია კრიმინალთან ბრძოლა. სამწუხაროდ, დღეს 17-18 წლის ახალგაზრდები კრიმინალურ ორგანიზაციებს ქმნიან და თანატოლებს სასტიკად აწამებენ, ემიგრაციაში წასულ ოჯახის წევრებს თანხებს სძალავენ და ა. შ. შესაბამისმა ორგანოებმა არაერთი ასეთი დაჯგუფება დააკავეს. ასე რომ, საკადრო ცვლილებებს დადებითი შედეგი მოაქვს. აქვე, მხარს ვუჭერ მამუკა მდინარაძის პოლიტიკაში დაბრუნებას, რათა სამართალდამცავ ორგანოებს კოორდინაცია გაუწიოს.

— ახლახან ქვემო ქართლში ფერმერებმა აქცია მოაწყვეს.

— დიახ, ამ დღეებში მარნეულში ინციდენტი მოხდა. სოფლის მოსახლეობას იქ სათბურები აქვთ და პროდუქციას აწარმოებენ. ოპოზიციის წარმომადგენლები ფერმერებს აქეზებენ, თითქოს ამ ადამიანების უფლებებს იცავენ და გაიძახიან: საქართველოს ბაზარზე აზერბაიჯანელი მოსახლეობის მოყვანილ კიტრს და პამიდორს არ უშვებენო და სხვა. იმაზე რატომ არ ფიქრობენ, ვაჭარი აზერბაიჯანელისგან პამიდორს ლარ-ნახევრად ყიდულობს და აქ 7-8 ლარად რომ ჰყიდის, ფერმერებს საშუალება უნდა მივცეთ, თბილისში, რუსთავში თავიანთი საქონელი თავად გაყიდონ. ამაზე კონტროლი უნდა დაწესდეს. ხალხის მიერ არჩეულმა დეპუტატებმა ადგილებზე უნდა იაქტიურონ, მოსახლეობას ესაუბრონ, მათი პრობლემები გაიგონ. ფერმერების მიერ არჩეული დეპუტატები კაბინეტებში იმალებიან, არადა, წესით, ხალხის გვერდით უნდა იყვნენ. ამხელა ხელფასებს რომ იღებენ, ჩავიდნენ ფერმერებთან და მათ პრობლემებში გაერკვიონ. დიახ, დეპუტატებმა პარლამენტში ამომრჩევლის პრობლემებზე უნდა ისაუბრონ. დეპუტატების 70% არცერთ საკანონმდებლო ინიციატივაზე არ მუშაობს. ხმამაღლა ვამბობ: ქვემო ქართლში, ყველა რაიონში იმ დეპუტატის საქმიანობას, რომლებიც ხალხის საჭიროებებს არ გაითვალისწინებენ, შევისწავლით. დეპუტატი ხალხმა იმისთვის აირჩია, რომ მას ემსახუროს და არა თავის ჯიბეს.

თამარ შველიძე

ლი კულტურებიო, მაგრამ პრაქტიკაში ჩანს, რომელი კულტურები მიაჩნიათ ასეთად. მათთვის განაჩენი აქვთ გამოტანილი, ისევე, როგორც ირანს გამოუტანეს...

— ნეტავ, ჩვენ რად მივაჩნიავართ...

— თუ ჭკვიანად მოვიქცევით, პროგრესულებად ჩაგვთვლიან, ალბათ, მაგრამ, რომ იძახო ნეიტრალური ვარო, ძალიან რეგრესულად ჩაგთვლიან და, ცუდად იქნება შენი საქმე. ნეიტრალიტეტზე სიტყვა რომ დაასველო, შეიძლება, ყველა მხარემ მის საწინააღმდეგოდ მიმართულ განაცხადად მიიღოს, ამიტომ ქვეყანას რთული ბალანსირება უწევს.

შეიძლება, აკვიატება იყო, მაგრამ ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა იდეაში 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენა, სადაც „მუდმივი ნეიტრალიტეტი“ გვიწერია. სხვას ნუ დავაბრალებთ, უპირველესად, ჩვენი ბრალია, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. ეს ყველაფერი რუსეთს ბრალდება და რაღაც დოზით, ასეცაა, მაგრამ ელცინის რუსეთი ნაბიჯს ვერ გადადგამდა აშშ-ის ნების გარეშე. ანუ ეს მათ ინტერესებშიც იყო, რომ საქართველო რუსეთთან ყოფილიყო მუდმივად დაპირისპირებული, მოკავშირეობაზე საუბარი ზედმეტია.

— ორმოცი წელი როდის გაგვდის, რომ აღთქმულ მიწაზე დაბრუნდეთ, 2031 წელს? იმედი მაქვს, რომ მშვიდობით მოვესწრებით!

ესაუბრა
მაია ჯელიძე

სიღარიბის კარჯი საქონელია!

2 მაისს ტელე „იმედის“ ეთერში დებატები კვლავაც გაიმართა. ამ წერილის დაწერას არ ვაპირებდი, რომ არა ერთი მიწვეული სტუმრის არაადეკვატური საქციელი და თავხედური გამოხდომები. მაშ, ასე, ჯერ ჩამოგითვლით, ვინ იყვნენ სტუდიაში და შემდეგ მოგიყვებით, რა ხდებოდა და რანაირი მდგომარეობა იყო. ჩვენგან მარჯვნივ ისხდნენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და საპარლამენტო უმრავლესობის წევრი შოთა ბერეკაშვილი. ჩვენგან მარცხნივ ისხდნენ... უკაცრავად, აქ გადაცემის ჩანაწერი უნდა გადავახვიო, თორემ ზეპირად გახსენება გამიჭირდება... ესე იგი, ჩვენგან მარცხნივ ისხდნენ დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის თავმჯდომარე ლაშა რიჟამაძე, „გუდვილის“ გენერალური დირექტორი გიორგი ხაბაშვილი, მოძრაობა „სოციალური დემოკრატიისთვის“ წევრი მარიამ იაკობიძე და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი რამაზ გერლიანი.

დებატების წამყვანმა, მაგდა ანიკაშვილმა „მარათონი“ გახსნილად გამოაცხადა და გვაუწყა, რომ სასაუბრო თემა იქნებოდა ფასები. დიახ, ეს არის თემა, რომელიც ყველა ჩვენგანს აწუხებს, ფიქრობს და განიცდის. რაც შეეხება „ნაცებსა“ და მათ განაყრებს, ეს თემა მხოლოდ საღლიცინოდ და მთავრობის „კომპრომეტირებისთვის“ სჭირდებათ. არ გამოსდით, მაგრამ მაინც ღლიცინებენ - ჰმ... ნახეთ, ირაკლი კობახიძე იტყუება, ნახევარი კილო ხორცი მთელ დუნიაზე სად უნდა იშოვოთო? ესენი გულისხმობენ მომენტს, როცა კობახიძემ „ჭუტავიზიის“ („ტვ პირველის“) ჟურნალისტს უპასუხა, ნუ სპეკულირებ ფასებით, წამოდი და ნახევარ კილო ხორცს 10 ლარად გაყიდინებო. ალბათ, აქ საქონლის ხორცზე იყო ლაპარაკი, თორემ ბაზრებში ღორის ხორცი კილო 15 ლარია, პერიოდულად 13-ზეც ჩამოდის. ამას თუ გავყოფთ შუაზე, ნახევარი კილო 7 ლარი და ათი შაური გამოდის. ისე, სანამ უშუალოდ გადაცემის განხილვასა და იმაზე გადავალ, რის გამოც ამ წერილის დაწერა გადავწყვიტე, ერთსაც შევნიშნავ: კაცო, რაც თავი მახსოვს, სულ იმას ამბობდნენ, გლეხის შრომას ფასი არ აქვს, ყველაფერი გადასაყრელიაო. აჰა, ხომ დაედო ფასი? ნეტავ, რაღას წუწუნებთ? ერთი ყურძენია ცოტა იაფი და მაგაზეც გაუთავებელი პრეტენზიებია, გინდათ თუ არა, უნდა გაძვირდესო. ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ჩვენში ისიც უთქვამთ, ისეთ ხუმრობას რა ვუთხარით, შიგ ცოტაოდენი სიმართლე რომ არ ერიოსო. ჰოდა, ჩემს ხუმრობაში ცოტაოდენი კი არა, კაი გვარიანი სიმართლე ურევია.

მოკლედ, დაიწყო გადაცემა... ისაუბრა ირაკლი კობახიძემ - კონსულტაციების საფუძველზე უნდა იქნას ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული, რათა არ დაზიანდეს არც ერთი მხარის, მათ შორის, ბიზნესის ინტერესები, საშუალო ფასნამატი 86%-ს შეადგენს, რაც, შესაძლებელია, შემცირდეს, თუ მიწოდების ჯაჭვის ოპტიმიზაცია მოხდება, ეს აისახება ფასებზეცო. მზად ვართ, ყველა საკითხი განვიხილოთ, თუ რაიმე ჭარბი რეგულაციაა, ჯარიმაა ან რამე, მაგასაც შევამცირებთ ან გავაუქმებთო.

შოთა ბერეკაშვილმა თქვა - პრობლემა არის ხარჯებში, არაეფექტურ ბიზნესმოდელში და არა გადაჭარბებულ მოგებაში, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანიო. ჩვენი მიზანია, როგორმე შევამციროთ აღნიშნული ხარჯებიო. ჩვენ არ ვეძებდით დამნაშავეს, ჩვენ ვეძებდით პრობლემასო. აქვე შეგახსენებთ, რომ ბატონი შოთა იმ დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი იყო, რომელიც ფასების მხრივ მუშაობდა და გაძვირების მიზეზებს იკვლევდა.

შემდეგ სიტყვა გადაეცათ ლაშა რიჟამაძეს და გიორგი ხაბაშვილს. მათ ზომიერი და საქმიანი დამოკიდებულება გამოამჟღავნეს ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. აი, სწორედ ამან გააღიზიანა ვინმე მარიამ იაკობიძე და თავისი ჩიქორთულ-მოჩლექილი ენით ისე „შეუბერა“, ჯერ სტუდიაში მყოფებს დააღებინა პირი, მერე, ალბათ, მაყურებლებს. გადმოდგა ქალი, აივანზე რომ გადმოდგებიან ხოლმე ჭორიკანა დედაკაცები, ისე და თქვენაო, ირაკლი კობახიძეს ეუბნება, აზრზე არ ხართ, რა ხდება ამ ქვეყანაზეო, არც ბაზარი იცით, არც მაღაზია, არც ქუჩაო, ეკონომიკაზე, კულტურასა და პოლიტიკაზე აღარაფერს ვამბობო. ხალხიო, ქართველი ხალხი სულ სხვანაირად ფიქრობსო, ქართველ ხალხს იაფი ხორცი უნდაო, თქვენ კიდევ ატყუებთ, ნახევარი კილო 10 ლარად სად ნახეთო? თქვენი დრო წავიდაო, აწი გინდა ყოფილხართ, გინდა - არაო. ესენი კიდევ, ეს ვიღაცები ჩვენ მხარეს რომ დასვით, მეორე მხარეს უნდა დაგესვათ, ესენი რანაირი ოპონენტები არიანო? თქვენიანებს ჰგვანან, არც გაკრიტიკებენ და არც არაფერიო. ვეღარ აჩერებდნენ იაკობიძეს, კობახიძემ კი უთხრა, თქვენი მსჯელობით თავს ნუ შეირცხვენთ მოსახლეობის წინაშეო. მაინც არ გაჩერდა და ყველაზე დიდი სისულელეც აქ დააბრეხვა - თქვენ არც დევნილების პრობლემები გესმით, წლები გადის და ბინებს არ აძლევთო, აგერ, ერთმა უსახლკარო დევნილმა თავი დაიწვაო, მათი ბედი საერთოდ არ გაინტერესებთო. აი, ეს კი აღარ უნდა „წამოეწვინა“ ჩიქორთულად მოლაპარაკე ქალბატონს, რომელიც თურმე მოძრაობა „სოციალური დემოკრატიის“ წარმომადგენელი ყოფილა. ამ ხელისუფლებას რაც უნდა დააბრალო, რაც უნდა მოუგონო, რაც უნდა გამოუჩხრიკო, დევნილებს სახლებს არ უშენებსო, ვერ იტყვით. არ დაიჯერებთ, ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2012 წლიდან დღემდე დევნილებისთვის აშენდა 30000-ზე მეტი ბინა. სულო ცოდვილო, ხან მგონია, რომ ამ ხელისუფლებას ამ მხრივ ზედმეტიც კი მოსდის, ავი ენები ამბობენ, ზოგიერთ დევნილს 3-4 ბინა აქვს მიღებული და აქირავებს კიდევაც. ისე, ეს საკითხი ბევრს აინტერესებს და უკვე ხშირად ისმება შეკითხვა: დევნილობა შთამომავლობით გადადის და ბინებიც შთამომავლობით გაიცემა? გეფიცებით, არანაირი ინტერესი არ მაქვს, დევნილების მიმართაც კეთილად ვარ განწყობილი, მინდა, მათ საერთოდ არ ჰქონდეთ პრობლემები, მაგრამ რაკი შეკითხვები არის, პასუხებიც უნდა არსებობდეს. ჰოდა, ამაზე ვამბობ, სინდისიც ხომ კარგი საქონელია? ხელისუფლება ამდენს აშენებს, უფასოდ ურიგებს და ისევ იმაზე ლაპარაკობ, დევნილებს არ ეხმარებითო? დევნილები არ გაინტერესებთო? კარგი, იმას რომ იტყუები, მშიერი ხალხი ქუჩაში იხოცებაო, გასაგებია, მაგრამ ესა? ესა, კაცო?

შემდეგ მაგდა ანიკაშვილმა სიტყვა ისევ ირაკლი კობახიძეს გადასცა. მან კიდევ ერთხელ თქვა, კონსულტაციების საფუძველზე უნდა იქნას გადაწყვეტილებები მიღებული, რათა არ დაზიანდეს არც ერთი მხარის, მათ შორის, ბიზნესის ინტერესებიო. რაც შეეხება ცხოვრების დონეს, ჩვენი ეკონომიკა 2020 წელს იყო 16 მლრდ დოლარი, დღეს არის უკვე 38 მლრდ დოლარი, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, მაგრამ ვამცირებთ სხვაობასო. სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით ათჯერ არის გაზრდილი ჩვენი ხელისუფლების პირობებში, რის შედეგადაც, ამ წლების განმავლობაში პროდუქციის გამოშვება გაორმაგებულიაო. 2004-2012 წლებში ხელისუფლება და ბიზნესი იყო „შეხმატკბილებული“, როცა ბიზნესის რეკეტი იყო ხელისუფლების ხელწერის ერთ-ერთი მთავარი შტრიხი, ჩვენი მიდგომა არის ერთადერთი და მარტივი, ეს არის ბიზნესის თავისუფლებაო. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ყველა სფეროში არის განათლება, ამას ბიზნესიც აღნიშნავს, კვლევების თანახმად, ნომერ პირველ პრობლემად სახელდება კვალიფიციური კადრებიო.

აი, აქ ისევ „გაჭედა“ ვინმე მარიამ იაკობიძემ: თქვენ არაფერი გესმით, რა იცით, რა ხდება სოფლის მეურნეობაშიო? რა, თოხი გჭერიათ ხელში თუ ბარიო? ტრაქტორს რამდენი ბორბალი აქვს, ნეტავ, თუ იცითო? ძროხა და ცხვარი თვალით თუ გინახავთო? ამ დროს ირაკლი კობახიძე იღიმის, რა უნდა უთხრას? ყველაფერი ვიცი და ეკონომიკაშიც შენზე უკეთესად ვერკვევიო? ქალი არ ცხრება, გადადის და გადადის დაუკრეფავში, ასე მთლად დილეტანტსაც არ უნდა მიმართო, რადგან შენ უფრო დილეტანტი და უვიცი გამოჩნდები. მე პირადად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ ქალმა, სოციალურ დემოკრატიას რომ წარმოადგენს, არაფერი იცის, ადამიანებთან ურთიერთობაც კი, ელემენტარული ურთიერთობა. რომ ვთქვათ, აკაცუკიაო, მთლად ეგრეც არ გამოდის, ეს „ილუზია“ თავიდანვე გაგვიხუნა - ისაო, წინა ხელისუფლებაც კრიმინალ ბიზნესმენებთან იყო შეკრული და თქვენც კრიმინალ ბიზნესმენებთან ხართ შეკრულ-გარიგებულიო, ამ ქვეყანაში ვისაც ფული აქვს, ყველა დამნაშავეაო. გაიგონეთ? ქალი სოციალურ დემოკრატიაზე ქადაგებს და თან ამბობს, ვისაც ფული აქვს, კრიმინალიაო. გასაგებია, შეიძლება ზოგს ფული არაკეთილსინდისიერი გზით აქვს ნაშოვნი, მაგრამ ხომ არიან პატიოსანი ბიზნესმენებიც? მე მგონია, რომ საქართველოში უმეტესობა პატიოსანია, ვინც ავაზაკია, კი ვიცით, ამ პატარა ქვეყანაში არაფერი იმალება. როდესაც ყველას ერთ ქვაბში ხარშავ, თან მტრულად ხარ განწყობილი, გამოდის, ბოლშევიკი ხარ და დეემოკრატიისგან ძალიან შორს მყოფი.

როგორ დასრულდა დებატები? როგორ და... ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ აჩვენა კლასი. რაც შეეხება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ისეთი არაფერი უთქვამს, მან მეცნიერულად მხოლოდ ის გვითხრა, რომ სიძვირე ცუდია, ხოლო სიიაფე - კარგი. დიდი მადლობა, ეს არ ვიცოდით და გავიგეთ.

გელა ზედელაშვილი

მსოფლიო ეკონომიკა უფსკრულისკენ მიექანება

სად აღმოჩნდება საქართველო?



გვესაუბრება სტატისტიკოსი ნოდარ კაპანაძე:

— ბატონო ნოდარ, ფასების შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ მუშაობა დაასრულა. შედეგით რამდენად კმაყოფილი ხართ?

— საპარლამენტო კომისიის დასკვნას გავეცანი და შემიძლია გითხრათ, რომ იდეა, რისთვისაც ფასების შემსწავლელი კომისია შეიქმნა, ჯერ არ განხორციელებულა, მხოლოდ ზოგადი საუბრები გვესმის. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ამის ერთბაშად მიღწევა ვერ მოხდება. ბუნებრივია, ეს სწორია — ერთი თათბირის დონეზე ფასების რეგულირება შეუძლებელია. თუმცა, ფასების დაკლების ადმინისტრაციული მეთოდებით მიღწევა რთული, სახიფათო საქმეა. როგორ გაგრძელდება მუშაობა, მომავალი გვიჩვენებს. ამ შემთხვევაში არც სავაჭრო ობიექტების მეპატრონეების მოსაზრებაა ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება, არც ადმინისტრაციული ორგანოების, გადამწყვეტი ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობაა, რაც ფასწარმოქმნის რეალური სტრუქტურის შესწავლას გულისხმობს.

საქმე ის არის, რომ ფასების ზრდა შეიძლება სხვადასხვა მიზეზის გამო მოხდეს. არსებობს ობიექტური მიზეზები, რაზეც საქართველოს მთავრობას გავლენა თითქმის არ აქვს. მაგალითად, ავიღოთ ახლო აღმოსავლეთში ორმუზის სრუტის დაკეტვა. რატომღაც, არავინ საუბრობს ერთ-ერთ მთავარ პრობლემაზე, კერძოდ იმაზე, რომ ამ ნაბიჯით ირანმა მინერალური სასუქების მიწოდების მნიშვნელოვანი არხი დაკეტა. არადა, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ხვნა-თესვის სეზონი სწორედ ახლაა. თუ ამ სეზონზე სასუქების მიწოდება შემცირდა, ეს ნიშნავს, რომ შემოდგომაზე ნაკლები მოსავალი იქნება, რაც კვების პროდუქტებზე ფასების ზრდას გამოიწვევს. მოგვწონს თუ არა, კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა აუცილებლად იქნება და ეს ჩვენი მთავრობის კი არა, არამედ მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობის შედეგი იქნება. ამდენად, ამ გარემოებაზე ხელისუფლებას ვერანაირი ზემოქმედება ვერ ექნება და ამ პროცესს თავიდან ვერ აიცილებს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ფასნამატი ზღვარსგადასულია, რადგან სახეზეა მონოპოლიური ფასები, ეს უკვე სხვა სახის ზრდაა. ფასწარმოქმნაში ამ ორი მიზეზის ერთმანეთისგან განცალკევება მნიშვნელოვანია. ზოგადად, ფასების დარეგულირების კუთხით, უფრო ანალიტიკური სამუშაოა ჩასატარებელი, ვიდრე ადმინისტრაციული. კომისიის მუშაობა თუ გაგრძელდება, ჩემი რჩევა მეტი ანალიტიკა და ნაკლები ადმინისტრირება იქნება.

— კარტელურ გარიგებებზე რას იტყვით?

— კარტელური გარიგებები სერიოზული თემაა. არსებობს შემთხვევები, როცა ოლიგოპოლიასთან გვაქვს საქმე, ანუ, ბაზარზე მოთამაშეების მცირე რაოდენობაა, რომლებიც ერთმანეთთან საფასო პოლიტიკაზე თანხმდებიან. კარტელური გარიგება ბეჭედდასმული, ხელმოწერილი დოკუმენტით არ არის გამყარებული. შესაძლებელია ორი სუბიექტი, პირობითად, სახინკლეში შეხვდნენ და გარკვეულ პროცენტზე შეთანხმდნენ. აღნიშნული ოფიციალურად არსად ფორმდება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სახინკლეში მიღწეულ შეთანხმებას ნაკლები ძალა აქვს, ვიდრე ბეჭედდასმულ, ხელმოწერილ კონტრაქტს. კარტელური გარიგებები იდენტიფიცირდება არა ადმინისტრაციული მეთოდებით, ჯვარედინი დაკითხვებით და ა. შ. არამედ ანალიტიკით. სწორედ ანალიტიკა აჩვენებს, ბაზარზე არსებული მოთამაშეების რაოდენობას, ფასწარმოქმნის სტრუქტურას, რითაც შესაძლო კარტელური გარიგების შესახებ ვარაუდობენ. ამის შემდეგ შეიძლება საქმეში ადმინისტრაციული ორგანოები ჩაერთონ. მანამდე კი ფასწარმოქმნის შესწავლა და ნაკლები ჩარევის გარეშე ფასების მონიტორინგი უნდა მოხდეს.

ფასწარმოქმნას, მოგების მარჟას რაც შეეხება, ზოგადად, ადამიანის სიხარბე უსაზღვროა. მაგალითად, თუ ფასების ძალიან მაღალი მოგების მარჟა შავ ხიზილალაზე, მოქალაქეების კეთილდღეობაზე მაინცდამაინც უარყოფითად არ აისახება, რადგან ის ფართო მოხმარების პროდუქტი არ არის, სამაგიეროდ, პურზე თუნდაც 5%-იანი დამატებითი ზრდა განსაკუთრებით მწვავედ აისახება, რადგან პური პირველადი მოხმარების პროდუქტია. ამდენად, ფასწარმოქმნაზე როცა ვლაპარაკობთ, არსებობს სასაქონლო ჯგუფები, რასაც შეიძლება ყურადღება არ მიაქციო, მაგრამ ზოგ ჯგუფს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე პირველადი მოხმარების მედიკამენტებს, კვების პროდუქტებს და სხვას, დიდი წონა და ზეგავლენა აქვს.

— მაღალ ფასებთან ბრძოლის დაწყების პერიოდში პრემიერმა აღნიშნა, რომ ქართულ და ევროპულ ფასებს შორის დიდი სხვაობაა...

— დიახ, პრემიერმა ფასების შედარება გაცვლითი კურსის მიხედვით მოახდინა, რაც ცოტა სახიფათო თემაა. ევროპაში გაცილებით მაღალი ფასებია, რაც ბუნებრივია, რადგან იქ ფასწარმოქმნა, დაბეგვრა სხვანაირად ხდება. პრემიერი მართალია, როცა ამბობს, რომ პროდუქტზე ფასნამატი ევროპაში ჩვენთან არსებულზე ნაკლებია. ჯერჯერობით, რასაც პრემიერი დაგვპირდა, დასკვნა იმასთან შესაბამისობაში არ არის. ალბათ, ფასების შემცირების თემაზე მუშაობა გაგრძელდება. დაველოდოთ შედეგს.

— ბერეკაშვილმა აღნიშნა, რომ გრძელვადიანი სტრატეგია ლოგისტიკური ჯაჭვის შემცირებას და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობასაც მოიცავს.

— ლოგისტიკური ჯაჭვის შემცირებას რაც შეეხება, სადისტრიბუციო კომპანიების, იმპორტიორების და საცალო სავაჭრო ობიექტების ქსელებში სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანოების ჩარევა, ალბათ, ყველაზე ნაკლებად სასურველია. არ მგონია, ბერეკაშვილი ამას გულისხმობდეს. თუ ყოველივე ხელისუფლების გრძელვადიანი ამოცანაა, ამაში ვეთანხმები. ეს იოლი საქმე არ არის. ფასების შემცირება, ასე უცებ, თითის გატკაცუნებით ვერ მოხდება _ არსებობს ობიექტური გარემოებები, რაც, გვინდა თუ არა, ფასების ზრდას იწვევს და ამაზე მთავრობას გავლენა ვერ ექნება. საქართველოში შეიძლება ფასები ნაკლებადაც კი გაიზარდოს, რადგან უშუალოდ მომწოდებლებთან გვაქვს ურთიერთობა და ნაკლებად ვართ მიბმული იმ არხებზე, რომლებზეც ახლო აღმოსავლეთის კომპლექსს პირდაპირი გავლენა აქვს.

— მარკეტებში ქართული პროდუქცია ნაკლებად გვხვდება, 70% იმპორტირებულია. როგორ განვავითაროთ ადგილობრივი პროდუქციის წარმოება?

— სამწუხაროდ, იმპორტდამოკიდებული ქვეყანა რომ ვართ, ფაქტია. ამ კუთხით მთავარი ინსტრუმენტი სწორედ განვითარების ათწლიანი პროგრამა უნდა იყო _ ამას მე სიმეტრიული განვითარების პროგრამას ვუწოდებ, რაც განვითარების სიმძიმის ცენტრის პერიფერიებში გადატანას ნიშნავს. ამას აუცილებლად დეურბანიზაცია უნდა მოჰყვეს, რადგან ეს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზაა. ამის მთავარი ინსტრუმენტი სწორედ დამამუშავებელი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის, ანუ ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაა, რადგან სწორედ ეს არის ის შემაგუბებელი კაშხალი, რომელიც საქართველოში შექმნილ დამატებით ღირებულებას ქვეყანაში დატოვებს და გარეთ არ გაუშვებს.

ეროვნული ბანკის საიტზე გამოქვეყნებულია საგადამხდელო ბალანსის დეტალური მონაცემები: 1996 წლიდან დღემდე საქართველოს საგადამხდელო ბალანსი ქრონიკულად უარყოფითია. ჯამური ბალანსი მინუს 30,4 მილიარდი ამერიკული დოლარია. ეს ხარკია, რაც საქართველომ ამ ხნის განმავლობაში გადაიხადა. საგადამხდელო ბალანსის დროს ამ ნაკადების შემაგუბებელი ერთადერთი საშუალება სწორედ ქვეყანაში ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდაა, რაც ეკონომიკის ბენდუქიძური აზროვნების პარადიგმაში შეუძლებელია. ამას პროექტული დაფინანსება, ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა სჭირდება, რაც ურთულესი ამოცანაა. ამიტომ განვითარების ათწლიანი პროგრამა ერთ-ერთი საუკეთესო იდეაა, რაც ბოლო 30 წლის განმავლობაში მთავრობებისგან მომისმენია.

— ბატონო ნოდარ, კომისიის სხდომებზე მიწვეული კომპანიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ფასებს ვერ გაანახევრებენ...

— ჩემი აზრით, მათთან შეხვედრას აზრი არ ჰქონდა, მით უმეტეს, კომისიის ფარგლებში. ეს იგივეა, მელას მოსთხოვო ქათამი არ შეჭამოს. არადა, მელა ისეთი „გნიდაა“, დაგისაბუთებს, რომ ქათამი აუცილებლად უნდა შეჭამოს. ნიანგი იმიტომ კი არ ჭამს ანტილოპას, რომ დედამ შესაბამისი დოქტრინა არ ასწავლა, უბრალოდ, არ იცის, სხვანაირად როგორ მოიქცეს. აბა, როგორ გაანახევრებენ კომპანიები ფასს, როცა ამხელა მოგება რჩებათ. რა თქმა უნდა, არ გაანახევრებენ. ამიტომ კომისიამ ფასწარმოქმნა უნდა შეისწავლოს და მათ უთხრას: პატივცემულებო, აქ 700%-იანი ფასნამატი რომ გაქვთ, კეთილი ინებეთ და გარკვეულ პროდუქტებზე ფასნამატის შეზღუდვა დააწესეთო. ასეთი გამოთქმა არსებობს: ერთხელ შეყვარების ყველაზე საწინააღმდეგო ეფექტური საშუალება არის, შეხედო მეორედ და უფრო დაკვირვებით. აქაც ასეა: გგონია, რომ ფასების შემცირების რესურსი არსებობს, მაგრამ შეიძლება ცდები, ან პირიქით. ამისთვის რეალურ მონაცემებში გარკვევაა საჭირო.

— პრემიერმა განაცხადა, კომპანიები ფასების შემცირებაზე თუ არ დაგვთანხმდებიან, სახელმწიფო მარკეტებს გავხსნით და ფასებს მაინც დავარეგულირებთო. ეს რამდენად შესაძლებელია?

— თეორიულად შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფასების შემცირების ერთ-ერთი საშუალება, მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფო ბიზნესმენის დათანხმების იმდენად იყოს. კაპიტალისტისგან ალტრუიზმის მოთხოვნა იგივეა ნიანგს მოსთხოვო, ანტილოპა არ შეჭამოს. მე კაპიტალისტების კეთილშობილების იმედი არ მაქვს.

თამარ შველიძე

„ოპოზიციური ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, 26 მაისს დაანონსებულ აქციასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელში გაჟღერებულ სხვადასხვა კრიტიკულ მოსაზრებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ეს გზავნილები უკვე კლასიკაა, რომელთა ავტორებიც უნიჭოები არიან.

ხალხის მობილიზაციასთან დაკავშირებით შექმნილ სირთულეებზე კი, ჯაფარიძე აცხადებს, რომ მას ბუჩქებში არ ჰყავს ხალხი დამალული და მიიჩნევს, რომ იმიტომ, რომ პოლიტიკოსი ჰქვია, განსაკუთრებული ვალდებულებები არ აქვს.

“26 მაისს, 19:00 საათზე დაანონსებულია აქცია, თსუ-დან მსვლელობა პარლამენტის შენობისკენ, “ალიანსმა” დააანონსა. მესმის და ვკითხულობ სხვადასხვა ტექსტებს ამ აქციაზე: “რა არის მიზანი”, “რატომ უნდა გამოვიდეთ”, “ასჯერ გამოვედით და მერე რა”, “სანამ ალტერნატივა არ გამოჩნდება, არაფერს აზრი არ აქვს”, “ოპოზიციის ბრალია ყველაფერი, ოპოზიცია არ ვარგა” - ეს კლასიკაა უკვე, ყველა უნიჭო და უ@რაკო ამას იმეორებს 24/7, სოც. ქსელში იქნება თუ ტელევიზორში, თითქოს ვინმეს - მე, ან რომელიმე სხვა მოქალაქეს რაღაც განსაკუთრებული ვალდებულებები ჰქონდეს, რომ სასწაულები ჩავიდინოთ. კიდევ არის ის, რომ “პარტიები ვერ ამობილიზებენ ხალხს” - გეგონება, მე სადმე ბუჩქებში მყავდეს ხალხი დამალული და მეზარებოდეს ამ ხალხის გამოყვანა. მოკლედ, ტონა აზრებია, ერთ სულზე ოცი აზრი მოდის, მათ შორის, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი. საერთოდ, ისიც არ მესმის, რატომ ფიქრობს ვინმე, რომ მე, ან ვინმეს, ხალხის გაღვიძების ვალდებულება მაქვს, იმიტომ, რომ პოლიტიკოსი მქვია - კაი ნუ გაა@@აკე, მართლა კაცო?” - აცხადებს ჯაფარიძე სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ვიდეოში.

ბოდბისხევის ბაზარი

ბოდბისხევი დიდი და საინტერესო სოფელია სიღნაღის მუნიციპალიტეტში. ის გომბორის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზეა შეფენილი. რის გამოც წამოვიწყე ბოდბისხევზე საუბარი: აქ არის საუკუნეზე მეტი ხნის ბაზარი, რომელიც 1914 წელს გახსნილა, მანამდე მიმდებარე სოფელში, ქვემო მაჩხაანში ყოფილა. ვინაიდან, იქ მისადგომად ცოტა რთული ადგილია, ამიტომ ქვემოთ ჩამოუტანიათ. ესე იგი, რამდენი წლისა გამოდის ბოდბისხევის ბაზარი? ზუსტად 122 წლისა. ხედავთ, რამდენ თაობას მოსწრებია და რამდენი რამ უნახავს? ვინ იცის, რამდენ ცნობილ და ისტორიულ პიროვნებას გაუვლია ამ მიწაზე. ეს არ გახლავთ უბრალოდ ბაზარი, ეს არის კახეთის პულსი, სოციალური მდგომარეობის საზომი და ხასიათის ამოსაცნობი. იცით, როდის არის აქ ხალხმრავლობა? როცა გლეხი მოსავალს აბინავებს, მონაგარს სარფიანად ჰყიდის და ჯიბეში ფული უჭყავის. იცით, კიდევ როდის არის აქ ხალხმრავლობა? როცა ადგილობრივი პროდუქცია (ხილი, ბოსტნეული) ჩნდება და შედარებით სიიაფეა. ეს მაისის შემდეგ ხდება, როცა ლაგოდეხიდან კიტრი და პომიდორი შემოაქვთ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში, დაახლოებით 7 თვის განმავლობაში, გვიანი შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე, აქ უმეტესად უცხოეთიდან შემოყრილი პროდუქცია იყიდება და თანაც ოთუზბირად. სიტყვა „ოთუზბირი“ თურქულად 31-ს ნიშნავს, ქართულად – ძვირს, კახეთში ხშირად ხმარობენ. გადმოცემის თანახმად, ქრისტე რომ 30 ვერცხლად გაყიდეს, იმაზე ერთით მეტს, იმაზე ძვირს ნიშნავს „ოთუზბირი“. ამიერიდან იცოდეთ, თუ თქვენ ალუჩას 30 ვერცხლზე (ლარზე) მეტს გიფასებენ, ეს უკვე დიდი ცოდვაა, არ უნდა იყიდოთ. ისე, რაღა დაგიმალოთ და ნოემბრიდან ივნისამდე, როგორც ყველა ბაზარსა და მაღაზიას, ბოდბისხევის ბაზარსაც ცეცხლი უკიდია. თუმცა, ბაზარი მაინც ბაზარია, ალაგ-ალაგ შევაჭრებაც მოსულა, დაკლებაც, შეკამათებაც, შეხუმრებაც. ამას წინებზე ვაშლის გამყიდველს ფასი ვკითხე – სამი ლარიო. გავბრუნდი, მეძვირა. ორი ლარიო – მომაძახა. მივტრიალდი – რატომ თავიდანვე რეალური ფასი არ მითხარი, ვერ გამომიჭირე-მეთქი? საშუალო ასაკის კაცია, გორიდან არი ჩამოსული, ეწყინა, ვერ გიცანიო, როცა გიცანი, მაშინ დაგიკელიო, ამდენ ხალხში თავი მამჭერიო, ხმამაღლა არ უნდა გეთქვაო, მე ნაომარი კაცი ვარ, სამ ომში ვიბრძოდი, ნერვები აღარ მაქვსო. ჰო, კარგი, ამის მერე ხმადაბლა გეტყვი-მეთქი. როგორც კი დამინახავს, მზად არი, ვაშლი უფასოდ გამატანოს, მაგრამ მე არ ვართმევ, კაცი წვალობს, რა ვალდებულია, მუქთად მომცეს?

ვუყურებ ბოდბისხევის ბაზარს და... როგორც თბილისში, ბოსტნეულის მხრივ ესეც ეროვნებით აზერბაიჯანელების ხელშია. არ დაიჯერებთ, რომ არა სოფელ ყარაჯალისა (თელავის მუნიციპალიტეტი) სოფელ კაბალის (ლაგოდეხი) აზერბაიჯანული მოსახლეობა, კახეთში უმწვანილობა გამეფდებოდა. მხოლოდ უმწვანილობა? უპომიდვრობაც, უკიტრობაც, უბადრიჯნობაც. ღმერთმა გაძლება მისცეთ ბაჯიებს, ღრმერთმა ენერგია მისცეთ, მაგრამ, უბრალოდ, სირცხვილია, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ქართველებს აღარც მწვანილეული მოჰყავთ, აღარც ბოსტნეული. რატომ? იმიტომ, რომ ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდში გარეთ (ცივად) არ მოდის, მინისათბური მაინც არის საჭირო. ვისაც არ ეზარება, მარტივია, ცელოფანი უნდა გადააფარო და კახეთის მიწა ბარაქიანია, მოდის. ე, ბიჭო, გადააფარე და მოვა, ქინძსა და ოხრახუშს რატომ ყიდულობ? – ვეუბნები მეზობელს. მაიცა, რაააა, ეხლა ეგ მაფარებინე კიდე, – მპასუხობს არაქათგამოცლილი, გეგონება, უკვე დაიღალა. ვერ ვიტყვი, აქაურებს შრომა ეზარებათ-მეთქი, მაგრამ ის მაინც აღარ არი, ადრე რომ იყო... რუსები „ჟილკას“ რომ ეძახიან, იმას ვგულისხმობ.

ადრე, „ბნელ“ საბჭოთა პერიოდში ვინმე სამეზობლოში პურს რომ გამოაცხობდა, მთელ უბანში განსაკუთრებული სურნელი დგებოდა. არადა, მაშინ პური ყველა ოჯახში ცხვებოდა, თონე ყველა ოჯახში იყო. ესეც ნელნელა მოიშალა, ახლა პურს ყველა საცხობში ყიდულობს და ეს საცხობებიც მრავლდება სოკოებივით. როგორც წესი, თავიდან აცხობენ ნორმალურად, კლიენტს იზიდავენ, მერე თანდათანობით აპატარავებენ და არის საყვედურებისა თუ ლანძღვა-გინების კორიანტელი.

ბოდბისხევის ბაზარი სოციალური ყოფის საზომია-მეთქი და მართლა ეგრეა. ამ სოფელში ტრადიციულად განვითარებული იყო მეთუნეობა, აქ აკეთებდნენ ქვევრებს, დოქებს, კერამიკულ ჭურჭელს. საოცარია, ამ ყველაფერს სათავეში ედგნენ გვარად მეჭურჭლიშვილები. როგორც ჩანს, ჯერ იყო პროფესია, შემდეგ გაჩნდა გვარი. სხვათა შორის, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ახლაც ჩამოდიან, თიხის ნაკეთობებს მგონი, აღარავინ ამზადებს, ყოველ შემთხვევაში, ბაზარში აღარ გამოაქვთ, მაგრამ სამაგიეროდ, მზესუმზირის ზეთი მიაქვთ. ერთი-ორი ლიტრის საყიდლად აქ არავინ ჩამოვა, ბევრი მიაქვთ – ზოგს გასაყიდად, ზოგს თავისი ბიზნესისთვის, ზოგს თავისი ოჯახისთვის.

ადრე ბოდბისხევის ბაზარში ყველაფერი იყო, რაიონში მოქმედი ყველა მაღაზიის დირექტორი თუ გამგე ვალდებული იყო, კვირა დღეს საქონელი გაეტანა და ევაჭრა. ახლა ესეც მოიშალა, მაღაზიებიდან აქ აღარაფერი გამოაქვთ, ძირითადად, გლეხები და გადამყიდველები ვაჭრობენ, უფრო მეტად „იყიდე-გაყიდეა“ განვითარებული. არ მინდა, ისე გამოვიდეს, თითქოს ადგილობრივი გლეხები არაფერს აკეთებენ და ხაზი უნდა გადავუსვათ. უბრალოდ, იმას ვამბობ, რაზეც თითქმის ყველა ლაპარაკობს. ალბათ, დადგება ის დრო, როცა ადგილობრივი წარმოება უფრო „ყოჩაღად“ ამოძრავდება და კახეთი აღარ იქნება დამოკიდებული (როგორც მთელი საქართველო) ირანიდან შემოტანილ ბადრიჯანსა თუ პომიდორზე. აგერ, ლამის მთელი ქვეყანა სავსეა უკვე საზამთროთი და მარწყვით, ირანი, სომხეთი და სხვა ქვეყნები თითქმის თვე-ნახევრით, ზოგ შემთხვევაში, ორი თვითაც გვასწრებენ და ისეა ხოლმე ჩვენი ბაზრები გაჯერებული შემოტანილი პროდუქციით, მერე, როცა ადგილობრივი ჩნდება, გარჩევაც კი ჭირს. იცით, რა მოხდება საზამთროს შემთხვევაში? ჩვენი რომ შემოვა, იაფფასიან ირანულში შეურევენ და კახურ საზამთროდ შემოგასაღებენ. ისევე, როგორც საბერძნეთიდან და ირანიდან შემოტანილ პომიდორს გასაღებენ მარნეულში მოყვანილად. მზესუმზირის ზეთი ვახსენე, როგორ გგონიათ, როდესაც კახურს ყიდულობთ, ის ნამდვილად კახეთში გამოხდილია? 10%-ში შეიძლება გაგიმართლოთ, 90% მაღაზიებში ნაყიდ ზეთშია არეული. რასაკვირველია, ეს არც ბოდბისხევის ბაზრის ბრალია, არც ნავთლუღის ბაზრისა, ეს გაქნილი ვაჭრუკანების ოინებია, ყველგან რომ მომრავლდნენ და გლეხსაც სახელს უტეხენ. ალბათ, ხშირად გინახავთ გზისპირებზე გამოტანილი ხილი თუ ბოსტნეული, ვითომ გლეხები რომ დგანან და ყიდიან. ასეთები კახეთის სოფლებშიც მომრავლდნენ, უფრო იმ ადგილებში დგანან, სადაც ვენახებია, რათა ილუზია შეგექმნათ, თითქოს ეს ესაა, გამოიტანეს, ამ წუთას მოკრიფეს. სინამდვილეში კი ან შემოტანილს გასაღებენ, ან თბილისიდან ჩამოტანილს. არსებობენ გამონაკლისებიც, ანუ მართლა გლეხები, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიან.

ამჯერად აქ დავასრულოთ, შემდგომში კი ამ თემაზე, ჩვენს პროდუქციაზე, ჩვენს წარმოებაზე, სოფელზე, რეგიონზე უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ. თან გზადაგზა ისეთ რაღაცებს გასწავლით, გზებსა თუ სხვა ადგილებში რომ ველარავინ მოგატყუოთ. ეს ძალზე საინტერესო თემაა, დავიწყოთ, გლეხებსაც ვესაუბროთ, ჭკუა ვკითხოთ, სპეციალისტებსაც დავუძახოთ და მგონი, კარგი საქმე უნდა გამოგვივიდეს.

გელა ზედელაშვილი

ტყემლის ტოტზე ჩამომსხდარი კომენტატორები

ქართული ჟურნალისტიკა რომ კატასტროფულ მდგომარეობაშია, ამაზე არაერთხელ დავწერე, მომავალშიც დავწერ, მაგრამ ამჯერად ე. წ. სპორტულ ჟურნალისტებზე, მათ სავალალო მდგომარეობაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება. ვინც სპორტულ რეპორტაჟებს უყურებთ ტელევიზორში, უსმენთ რადიოში, კი ხვდებით, რა ხდება და რა ვითარებაა. ვისაც სპორტი და, მით უფრო, ფეხბურთი უყვარს, ვინც ჩემპიონთა ლიგის მატჩებს უყურებს „სეტანტა სპორტზე“, ყველა ერთხმად ამბობს, რომ ეს უკვე ფსკერია, ამის ქვემოთ აღარაფერია. სხვათა შორის, სპორტული ჟურნალისტიკის გაპარტახება ახლა არ დაწყებულა, ეს მოხდა კოტე მახარაძის, ეროსი მანჯგალაძის, თემურ ჯაფარიძის, ნუგზარ ჯუღელის, ჯამლეტ ხუხაშვილისა და სხვათა წასვლის შემდეგ. მახსოვს, კოტე მახარაძეს თეატრალურ უნივერსიტეტში ჰქონდა კურსი, სადაც მეტყველებას და სხვადასხვა სპეციფიკურ ხერხებს ასწავლიდა, გარდაიცვალა და კურსიც დაიხურა. ალბათ, დანარჩენებსაც შეეძლოთ მომავალი კომენტატორები აღეზარდათ, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა, ან თვითონ ვერ მოახერხეს, ან ხელი არ შეუწყეს. ყოველ შემთხვევაში, რასაც ახლა ვუყურებთ, ეს არის სრული კრახი. მეტყველებას, ლოგიკას, მიგნებას, პროფესიონალიზმს თავი დავანებოთ, ქართველ კომენტატორებს ხვიჩა კვარაცხელიას გატანილი გოლები რომ არ უხარიათ და მოწინააღმდეგე გუნდს გულშემატკივრობენ, ეს რა მოვლენაა? „სეტანტა სპორტის“ კომენტატორებმა ე. წ. რუსული კანონი რომ გააპროტესტეს და საფეხბურთო მატჩები კომენტარების გარეშე გადიოდა, ეს რა მოვლენა იყო? „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სპორტული კომენტატორები რომ პირწავარდნილი აკაცუკები არიან, სტადიონზე მისული პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ჩვენება რომ არ სიამოვნებთ, ტყემლის ტოტზე რომ სხედან და ბლის კურკებს ისვრიან, ეს რა მოვლენაა?

ე. წ. სპორტული ჟურნალისტი დავით ერაძე და კიდევ ორი უნიჭო მდედრი აკაცუკი „ფორმულას“ ეთერში რომ ისხდნენ და ხვიჩა კვარაცხელიაზე ჭორაობდნენ, მაგას რუსული გუნდის გარდა არავინ იყიდისო, საშუალო დონის ფეხბურთელიაო, ეს რა მოვლენაა? საშუალო დონის კი არა, სრული არარაობები არიან, ეს ე. წ. მკითხავები. ეს დავით ერაძე კიდევ ძალიან მძიმე შემთხვევაა სპორტულ ჟურნალისტიკაში. აქ ერთი ამბავი უნდა გავიხსენო: 2000-იანი წლებია, აკაცუკები ახალი მოსულები არიან ხელისუფლებაში, ქართული პრესა დუღს და გადმოდუღს, იმხანად გამოვიდა ჟურნალი „ფეხბურთი“. ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მთხოვა, რომანი დაგვიწერე ფეხბურთზეო. დავიწყე. თან მითხრეს, სტილისტი არ გვყავს, ბარემ მაგ საქმესაც მიხედე, ცოტაოდენი ჰონორარი მოგემატებაო. გავიხედე, ჟურნალის მთავარ რედაქტორად დავით ერაძე მოიყვანეს, რომელმაც თავისი „პადელნიკები“ მოიყოლა ჟურნალისტებად. ესე იგი, დაიწყეს და რა დაიწყეს, ეგეთი არაფერი გენახოთ, სტატიებს წერდნენ, არც მხატვრული სტილი იყო, არც პუბლიცისტიკა, რაღაც შერეული აბრაკადაბრა მოჰქონდათ. ერთ ნომერზე ვითმინე, ორ ნომერზე ვითმინე, სამზე, ოთხზე, მაგრამ მაგრად რომ გარეკეს, ავდექი, ამობეჭდილი მასალები ერთ-ერთ დამფუძნებელს შევუტანე და მაგიდაზე დავუყარე, წაიკითხე-მეთქი. ეს რა არი, მეღადავებიო? კი არ გეღადავები, ეს ყველაფერი შენს ჟურნალში იბეჭდება-მეთქი. გაფითრდა, არ არსებობსო. არსებობს-მეთქი. რა თქმა უნდა, ერაძე შეახურეს, მაგრამ იმავე ერაძემ მეც „შემახურა“, ჩამიშვიო? დამფუძნებლები რომ თავიანთ ჟურნალს არ კითხულობდნენ, ეს ერთი უბედურება იყო, მაგრამ მეორე უბედურება ის გახლდათ, რომ ადამიანი, რომელიც ხვიჩა კვარაცხელიაზე ამბობს, რუსული გუნდის გარდა არავინ იყიდისო (ეს იყო, სანამ „ნაპოლში“ გადავიდოდა), ნეაპოლური ამბები მოგონილიაო, ჭორიაო, ჟურნალ „ფეხბურთის“ მთავარი რედაქტორი იყო.

მეორე შემთხვევაც მქონდა, რაც ძალიან უსიამოვნო მოგონებად ჩამრჩა - 1990-იანი წლების ბოლოს საქართველოს რადიოში საინფორმაციოს გამომშვებად დამნიშნეს, ჟურნალისტებს მოჰქონდათ დაწერილი ინფორმაცია და მე უნდა შემერჩია, დამელაგებინა და ამეკინძა, რაც გავიდოდა ეთერში. ჯერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა სფეროებზე მოწოდებული ინფორმაცია რას ჰგავდა, ჯერ ის იყო სატირალი და ახლა სპორტული? როცა გასწორებას ვეღარ ავუდიოდი, სანაგვე ყუთში ვყრიდი ან უკან ვაბრუნებდი. თურმე საქმე ისე არ ყოფილა, მე რომ მეგონა, ე. წ. სპორტულებმა „სხადნიაკი“ მომიწყეს - ერთი მეუბნება, მე ესა და ესა ვარ, არაფერი შეგეშალოსო, დანარჩენებმაც „იბლატავეს“ და საერთო ჯამში, მოგვიანებით იმ ზომამდე მივედი, რომ განცხადება დავწერე, თავმჯდომარეს ხელუკუღმა შევუგდე და წამოვედი. მერე, როცა სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, რამდენიმე მომავალმა აკაცუკმა დაიწყო ძრომიალი, გასაყრელთა სია ჰქონდათ შედგენილი, დადიოდნენ, ხელმოწერებს აგროვებდნენ, მე არ მოვუწერე, არც არავინ მომიყვანია, არც არავის გაგდებას არ ვაპირებ-მეთქი და როცა როცა სიტუაციაზე გული ამერია, ავდექი და წამოვედი. ეს რანაირად ხდება — როგორ ანდობენ ამხელა აუდიტორიას ადამიანებს, ე. წ. კომენტატორებს, რომლებსაც არც სიტვათა მარაგი აქვთ, არც მეტყველება უვარგათ, არც ლოგიკა აქვთ, არც ვიზუალურად ვარგანან? — პირადად მე, ამათ მიერ წაყვანილ მატჩებს აღარ (ვეღარ) ვუყურებ, არის ერთი რუსული საიტი, სადაც ნორმალურად ლაპარაკობენ და ხვიჩა კვარაცხელიას გატანილი გოლებიც უხარიათ. მეძახეთ ახლა რუსეთუმე, მაინც არ (ვერ) გადმოვრთავ ქართულზე. წამომცდა, მათი მეტყველება არის ქართული? — ეს არის ჩიქორთული გაუგებრობა. ამათ მგონი, არც საქართველოს ნაკრების გამარჯვება უხარიათ ხოლმე. მაგალითად, უკრაინის ნაკრებთან ორი თამაში გვქონდა და წამყვანები ჩვენს გუნდს არ გულშემატკივრობდნენ. რა ქნან, კაცო, ებრალებათ, ისინი ომში არიან, გამარჯვებები ჰაერივით სჭირდებათ...

ვიცი, ახლა იტყვით, ესენი თუ არ მოგწონს, სხვა ვინ ვალაპარაკოთო? ჯერ ერთი, არ მომწონს კი არა, არ მოგვწონს, რაც მე ამ დღეებში სოციალურ ქსელებში წავიკითხე და პირად საუბრებში მოვისმინე - ყურო, ნუ გაიგონებ... თვალო, ნუ დაინახავ. ეს არის საერთო სახალხო პროტესტი. ჩემი აზრით, ვინაიდან „სილქნეთი“ კერძოა, ვერაფერს დავავალდებულებთ, რაც მაგათ არხზე სპორტის მხრივ ხდება, ეგ მაგათი უბედურებაა, მაგრამ რა გვიშლის ხელს, რომ მაგალითად, „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ საფეხბურთო მატჩები დიმა ობოლაძემ და ნოდარ სიმსივემ წაიყვანონ? არაფერიც არ გვიშლის და ეს იქნება კარგი, თანაც იმ დროს, როცა ამ ზაფხულს მსოფლიო ჩემპიონატი იწყება.

ავი ენები ამბობენ, „სეტანტას“ და „იმედს“ ერთობლივად ჰქონდათ ნაყიდი მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები, მაგრამ ვინაიდან „იმედი“ დასანქცირებულია, ამ ამბავს ჩაეხსნა და გადასახდელი თანხა მთლიანად „სეტანტას“ დააწვაო. ეგ მატჩები მთლიანად „საზოგადოებრივს“ უნდა ეყიდა, მაგრამ „აახიესო“ და ამის გამო ვიღაცები კარგად გაიჯოხნენო. მოკლედ, უახლოეს ხანში ნახავთ, „სეტანტა სპორტის“ კომენტატორები როგორ ცირკებს დაატრიალებენ პირდაპირ ეთერში. ისე, შეგიძლიათ, ხმა საერთოდ გათიშოთ და მარტო „ფათრეთებს“ უყუროთ. გოლს რომ გაიტანენ, კი დაინახავთ და მეტი რა საჭიროა? ვიხუმრე, მართლა არ გათიშოთ, ფეხბურთის ყურებისას ხმაური და სტვენა თუ არ ისმის, ის ფეხბურთი არ არის. მოკლედ, უნდა გაუძლოთ, სხვა გზა არ არის.

გელა ზედელაშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანი სტივ რიდი აცხადებს, რომ კანონპროექტი დანაშაულისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრს შესაძლებლობას აძლევს, აკრძალოს მარშები, რომლებიც საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფზე ზეწოლას ისახავს მიზნად.

მისი თქმით, კანონი საშუალებას იძლევა, აიკრძალოს მარშები, თუ ისინი ერთსა და იმავე ადგილას, ერთი და იმავე ადამიანების წინააღმდეგ, კვირიდან კვირამდე მეორდება.

კითხვას, შესაძლოა თუ არა პალესტინის მხარდასაჭერი დემონსტრაციები აიკრძალოს, თუ ყოველ კვირაში ერთსა და იმავე ადგილას გაიმართება, რიდმა დადებითად უპასუხა.

ალბათ ახლა, როცა ამ ვიდეოს და ფოტოებს ათვალიერებენ ოპოზიციის წარმომადგენლები, სიზმარი ჰგონიათ. იფიქრებდნენ კი ადრე, რომ ზელენსკი ასე შეხვდებოდა ირაკლი კობახიძეს ან პრემიერ-მინისტრი ევრობიუროკრატების ეპიცენტრში იდგებოდა, - ასე ეხმიანება ექსპერტი, ნინო ფოჩხუა, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მე-8 სამიტზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძისა და უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმერ ზელენსკის შეხვედრის ფაქტს.

ნინო ფოჩხუას განცხადებით, საქართველო არა მხოლოდ ევროპისთვის, არამედ, მსოფლიოსთვის საჭირო ქვეყანაა და ზეწოლას, რომელსაც საქართველომ აქამდე გაუძლო, სხვა ქვეყნები ნელ-ნელა ნებდებიან.

„ბაყაყისჭამიები“ და „ლურჯი“ სამშობლო!

გასულ კვირას, ემანუელ მაკრონმა მკაფიო მხარდაჭერა გამოხატა საბერძნეთის მიმართ. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უსაფრთხოების საკითხებს და გაიხსენა საფრანგეთის წინა ქმედებები რეგიონში.

ამასთანავე, პირდაპირი და მკაცრი ფორმულირებაც დაურთო: ჩვენ აქ ვიქნებით. შეხედეთ, რა გავაკეთეთ 2021 წელს და რა გავაკეთეთ კვიპროსზე. ჩვენთვის ეს არის მეგობრობისა და გაერთიანების განმარტება... თუ თქვენს სუვერენიტეტს საფრთხე ემუქრება, გააკეთეთ ყველაფერი, რაც გჭირდებათ. ჩვენ თქვენ გვერდით ვიქნებითო.

რა საფრთხე ემუქრება ევროკავშირის წევრ საბერძნეთს ევროკავშირის წევრობის რიგში სამი ათეული წლით მდგომი თურქეთისგან, ნამდვილად არ ვიცი, სადავო კვიპროსის გარდა, არაფერი. ამიტომ, ვეჭვობ, რომ მაკრონის მეგობრული განცხადება მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მიმდინარე დაძაბულობისა და ევროპული ქვეყნების როლის შესახებ დისკუსიების ფონზე.

საქმე ის ხომ არ არის, რომ საბერძნეთი ერთდროულად ევროპული და ამერიკული სტრატეგიული ხაზის კვეთაზე აღმოჩნდება?

ერთი მხრივ, დონალდ ტრამპი ვარაუდობს საბერძნეთის, როგორც დასაყრდენის როლის გაძლიერებას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში. საუბარია სამხედრო ინფრასტრუქტურაზე, ლოჯისტიკაზე და უფრო ფართო შეკავების სისტემაზე – ახლო აღმოსავლეთიდან რუსეთთან და ჩინეთთან ურთიერთობამდე. ამ კონფიგურაციაში საბერძნეთი უპირველესად, განიხილება როგორც სტრატეგიული პლატფორმა.

მეორე მხარეს, საფრანგეთი მაკრონის ინიციატივებით ხელს უწყობს ევროპული სტრატეგიული ავტონომიის იდეას, სადაც თავად ცდილობს, დაიკავოს მთავარი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრის ადგილი. ამ კონტექსტში საბერძნეთი ნაკლებად მოქმედებს როგორც ბაზა და უფრო მეტად, როგორც მოკავშირე, საიდანაც წარმოაჩენს ევროპის შესაძლებლობას, დაიცვას თავისი წევრები შეერთებულ შტატებზე პირდაპირი დამოკიდებულების გარეშე.

ჯერჯერობით, ეს ორი ვექტორი პირდაპირ არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, პირიქით, ერთმანეთს ემთხვევა მრავალი თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის უსაფრთხოებისა და თურქეთთან ურთიერთობების ბალანსის საკითხებში.

ათენს შეუძლია, ისარგებლოს ერთდროულად ორი მიმართულებით, გააძლიეროს თავისი პოზიციები როგორც ნატო-ს, ისე ევროკავშირის შიგნით, თუმცა, ეს სტრუქტურა სტაბილური რჩება მხოლოდ მანამ, სანამ მხარეთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც აშშ-ისა და ევროპის მიდგომები განსხვავებულია კონკრეტულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, საბერძნეთი შეიძლება აღმოჩნდეს რთულ სიტუაციაში, მას არჩევანის გაკეთება მოუწევს ძალაუფლების ორ ცენტრს შორის.

მნიშვნელოვანია, რომ თავად საბერძნეთი არ ავლენს გარე სამხედრო ავანტიურებში მონაწილეობის სურვილს — თავშეკავებულ და პრაგმატულ ხაზს ავითარებს. პრიორიტეტად აქვს საკუთარი უსაფრთხოების განმტკიცება, მათ შორის, თურქეთთან ურთიერთობის კონტექსტში.

ათენისთვის პარადოქსული, მაგრამ მომგებიანი სიტუაციაა, რადგან ქვეყანა ერთდროულად ზრდის მის მნიშვნელობას შეერთებული შტატებისთვისაც და ევროპული თავდაცვის არქიტექტურის ნაწილიც ხდება. საბერძნეთი სტრატეგიულ დივიდენდებს მიიღებს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, დიდი ალბათობით, სწორედ ამ ორის დაბალანსების საკითხი გახდება მთავარი გამოწვევა მისი საგარეო პოლიტიკისთვის და კიდევ უარესი, ორიდან ერთის არჩევა მოუწევს, რაც მტრად მოჰკიდებს უარყოფილს.

და უცბად, „მეგობრებმა ევროკავშირიდან“ 415 მლნ ევროთი დააჯარიმეს საბერძნეთი, სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების განაწილებაში დარღვევები გაქვსო,

— მათრახისა და თაფლაკვერის კომბინაცია გააუკეთეს...

ეს იქით იყოს, ვინც რას თესავს, იმას მოიმკის, ის უფროა საინტერესო, მაკრონის წკიპურტზე რა რეაქცია ჰქონდა ოფიციალურ თურქეთს. არ ვიცი, საპასუხო კომენტარს ჩემამდე არ მოუღწევია, მაგრამ არ გამიკვირდება, თუ არც კი შეიმჩნია. ოსმალოს ცბიერება გენეტიკურად მოსდგამს და ბევრი ისეთი რამის ყადრიც იცის, რაც სხვისთვის მოგვიანებით ხდება ღირებული.

ახლაც, სანამ მსოფლიო ყურადღება ირანზეა გადატანილი, თურქეთმა მოქმედება სათავისოდ დაიწყო და ისეთი სურათის კონტურები გამოსახა, რომელიც სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას ჩამოაყალიბებს.

თურქეთმა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ნატო-ს სამხრეთ ფლანგის სტაბილურობის გარანტად და დასავლეთის ფორპოსტად მიიჩნეოდა, ბევრი რამ იწვნია ალიანსელი მეგობრების ქვეყნებიდან.

„თურქეთის მეგობრებმა“, ერდოღანის ხელისუფლების დამხობის მიზნით ოპოზიციაც შეუქმნეს, ტერორისტული დაჯგუფებებიც, მოხალისე ტერორისტებიც და რევოლუციაც წამოუწყეს. ერდოღანის ხელისუფლების ძალოვანმა მინისტრებმა იმუშავეს იდეალურად და გადაარჩინეს სრულიად თურქეთი, თორემ ახლა უკვე დაქუცმაცებული იქნებოდა — ოფიციალურმა თურქეთმა ცხრა ევროპული ქვეყნის ელჩიც გამოაცხადა პერსონა-ნონ გრატად და კიდევ ბევრი რამ მოხდა. გარდა ამისა, სამი ათეული წელი ევროპის კართან ატუზეს ევროკავშირის წევრობის მათხოვრად, ჰოდა, რომ მოსწყინდა ამდენი ორპირობა და თვალთმაქცობა, დღეს აშკარად გადადის „თამაშის საკუთარი წესების“ დამკვიდრების ფაზაში.

უმიზეზოდ არ უთქვამს თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრ სულეიმან სოილუს, რომ ტერორიზმთან ბრძოლით ქვეყანა რეალურად აშშ-ს ებრძვის. მან აღნიშნა, რომ თურქეთი ყველა ტერორისტულ ორგანიზაციას ებრძვის:

„ჩვენ ყველა [ტერორისტულ] ორგანიზაციას ვებრძვით, როგორიცაა **FETO**, **PKK** [ქურთისტანის მუშათა პარტია], **DAESH** [ისლამური სახელმწიფო]. ჩვენ არ ვიბრძვით **PKK**-ის წინააღმდეგ, ჩვენ ვიბრძვით აშშ-ის წინააღმდეგ. ნუთუ ასეთი გულუბრყვილოები ვართ, რომ ეს არ ვიცოდეთ? ჩვენ ეს ვიცით. აშშ-ს სურს იქ ტერორისტული სახელმწიფოს შექმნა“.

თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოქმედების სტილი შეიცვალა. თუ ადრე სახელმწიფოები ომს კლასიკური მეთოდებით იწყებდნენ, დღეს ანკარა იყენებს ე. წ. „დისტანციური დომინირების“ სტრატეგიას — საუბარია არა პირდაპირ ფრონტალურ შეტაკებაზე, არამედ გარემოს მომზადებაზე, სადაც მოწინააღმდეგე კარგავს კონტროლს მანამ, სანამ პირველი ტყვია გავარდება.

თურქეთი ეყრდნობა სამ ფუნდამენტურ კომპონენტს: რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემებს, დარტყმითი უპილოტო საფრენი აპარატების მასიურ გამოყენებას და ელიტური ქვედანაყოფების მიერ ადგილობრივი ძალების კოორდინაციას. ლოგიკა მარტივია — რესურსების ოპტიმიზაცია მაქსიმალური პოლიტიკური შედეგის მისაღწევად.

როდესაც ერდოღანი ახსენებს ლიბიასა და ყარაბაღს, ეს არ არის მხოლოდ რიტორიკული მუქარა, ეს არის მზა საოპერაციო გეგმის დემონსტრირება. ამ კონტექსტში, ისრაელ-ირანის დაპირისპირება თურქეთისთვის ხდება „შესაძლებლობების ფანჯარა“, რათა საკუთარი ძალა რეგიონულ არბიტრად აქციოს.

ნებისმიერი სამხედრო ოპერაცია რესურსების გამოფიტვას გულისხმობს. შესაბამისად, თურქეთმა გადაწყვიტა, ეს პროცესი ეკონომიკური ემბარგოთი დაიწყოს. 2024 წლიდან მოყოლებული, შეზღუდვები, რომლებიც 2026 წლისთვის ტოტალურ იზოლაციაში გადაიზარდა, სხვა არაფერია, თუ არა „ლოგისტიკური ოკუპაცია“.

ისრაელისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თურქული რესურსების გადაკეტვა და ალტერნატიული გზების — ინდოეთიდან ან ევროპიდან აფრიკის გარშემო არსებული სიძვირე, რაც ებრაულ სახელმწიფოს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აიძულებს, ისეთი სვლები გააკეთოს, რომელსაც მდგომარეობის გაუარესება და თავის დაკარგვაც კი მოჰყვება.

თურქეთი კარგად იაზრებს, რომ ისრაელის აღზევება და ირანის დაცემა დაშლის თურქეთსაც, რადგან მისი ჯერი დიდი ხანია, დამდგარია იმავე ე. წ. დასავლური ელიტებისგან, რომლებმაც ის რუსეთთან საბრძოლველად გააძლიერეს — ეს კი კარგად იცის ფლიდმა და ცბიერმა ოსმალომ.

15 გვ.

ბოლომდე მაინც ვერ გავიგე...

ტრამპი ძია ჩემი ჯილაა — დავაჯახებ, ვისაც უნდა!

მოჩვენებებთან მოსაუბრე მთვლემარე ჯო არ მომწონდა, სამთავრობო შეკრებებზე ძალზე ხმამაღლა იცლებოდა გაზებისგან. ამას აღარაფერი ეშველებოდა, მაგრამ ომის გარდა სახელმწიფო გადატრიალებები რომ მოსწონდა, მე მაგრად არ მომწონდა. იქნებ, არც თვითონ მოსწონდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ისიც აღარ იცოდა, რა მოსწონდა, ფასონად დაფარფატებდაა. ის კი ახსოვდა, რომ ბიძამისი (ემბროუზ ფინეგანი) პაპუა გვინეელებმა შეუჭამეს და ეს მაიცდამაინც მაშინ გაახსენდა, როცა სტუმრად იყო პაპუა გვინეაში. გადაირივნენ სტუმრები — კი, ბატონო, ავიაკატასტროფაში მოკვდა, თვითმფრინავი ჩამოვარდა და ბიძაჩვენებმა შეჭამეს 1944-ში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვჭამთ ყველაფერ თეთრს, რაც ციდან ცვივაო. გამართო ჯომ, მაგრამ ჩემი ჯილა ვერ გახდა.

ობამა იყო და ისეთებს აბრეხვებდა მომღიმარი, იფიქრებდი, კაიფარიკებისა და ჰომოსოქსუალებისგან პირდაპირ აშშ-ის პრეზიდენტებად ყალიბდებიანო. აქაოდა, 19 საათის შემდგ აღარ ვჩანვარო, გაექანა და მოაოხრა ლიბია-სირია. რათა, შვილო, რათა!

არც ჯორჯ ბუში მომწონდა - ისე გააქნ-გამოაქნია კურტუმო „შალახოს“ ჰანგზე, რომ როსტომ-ხანმა თავი წამოსწია საიქიოდან. ჯანდაბას, ვაპატიებდი, მაგრამ ფაქტ-ჩეკერებმა იმის გამო დამსაჯეს, რაც ჩემი თვალით ვნახე — 2005 წელს საქართველოში ვიზიტის დროს აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუში უმცროსს თავისუფლების მოედანზე გამართულ ღონისძიებაზე ქართული ხალხური ცეკვა „შალახო“ არ უცეკვია. ვიზიტისას შესრულდა ქართული მუსიკალური ნომრები, თუმცა ბუშის ცეკვა, მათ შორის შალახოზე, სიმართლეს არ შეესაბამებაო. იმათ კი მივუწერე, რატომ მსჯით, მაშ რაზე გაიქნია გავა, „კინტაურზე“-მეთქი? მაგრამ დამსაჯეს და ეგეც „არ მევასება“ ტიპია — თუ გეცეკვება, იცეკვე, რას ასჯევინებ ჩემს დიდებულებას? ამასაც წამოუფრინა და ხან ერაყს ეცა, ხან ავღანეთს...

ისე, ეს კვიცი გვარზე ხტოდა, რა ექნა — მამამისი ერაყს ეცა და ეს იყო სპარსეთის ყურის პირველი ომი. დაოკდა? - არა. პანამაში შევარდა და ოპერაციის სახელი დაარქვა: ოპერაცია „სამართლიანი მიზეზი“.

მიზანი თქვი, თორემ მიზეზს თითიდანაც გამოწოვს მიზეზიანი კაცი. მიზანი პანამის დიქტატორის, მანუელ ნორიეგას დამხობა იყო, რომელიც თურმე ჩართული იყო ნარკოტრაფიკში და საფრთხეს უქმნიდა პანამის არხის უსაფრთხოებასა და იქ მყოფ ამერიკელებს. ვერ გავიგე, ნარკობარიგობა არხთან რა კავშირშია? კარგი, არის — ჰოდა, გაიყვანე ის ამერიკელები იქიდან! ან სულაც, იქ რა უნდათ ამერიკელებს?

შედეგი: ოპერაცია წარმატებით დასრულდა, ნორიეგა დაატუსაღეს და აშშ-ში გაასამართლეს.

აი, თურმე, ვისი წამხედურობით ატეხეს ჩემი ჯილა!

დაოკდა, რო? იშვლიპა და სომალიში შევარდა! და თან „მისია“ და „ოპერაცია“ დაარქვა ამ შევარდნას — ოპერაცია „იმედის აღდგენა“-ო. თურმე აშშ-ში, ვაშინგტონში მყოფი ბუში უფროსი მაგრად წუხდა, რადგან მოგადიშოში და მთლიანად სომალიში, რომელიც აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია, სამოქალაქო ომითა და შიმშილით დაზარალებულთათვის გაერო-ს ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების უზრუნველყოფა ზეციდან ნაკარნახევი მისი მისია იყო, მაგრამ ადგილობრივი მეომარი დაჯგუფებები „აჩმახებდნენ“.

ქლინტონი იყო და, მთლად აშშ-ის შემარცხვენელი გამოდგა და აქ მე შემრცხვა — ბიჯო, თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში რომ არ იცელქო, ოთხკუთხედი ოთახები დაილია? ამ სექსუალურად აღტკინებულმა საქსოფონისტმა იფიქრა, ახლა რა ჩავიდო პირში საქსოფონის ტუჩის ნაცვლადო და ვნებამოძალებულმა ისე დაჯიჯგნა ბოსნია და კოსოვო, სტატისტიკაში გადავიდა მათზე ჩამოყრილი ბომბების რაოდენობა;

მაგარი მსახიობები არიან აშშ პრეზიდენტები, მაგრამ ჩემ ჯილასთან ვერავინ მოვა, თვით შეჭმარიტად მსახიობი რონალდ რეიგანიც კი!

მე და ედუარდ შევარდნაძეს ერთნაირად გვესიმპათიურებოდა რეიგანი, მაგრამ ჩემი ტესტი ჯილობაზე ვერ გაიარა — შევარდა ხან ბეირუთში და ხან გრენადაში. ერეკლესა და ყურებიანი ქუდისა არ იყოს, სად ლიბანი და სად გრენადა, მაგრამ ჭეშმარიტი ამერიკული ჩვეულება — სხვადასხვა ქვეყნებში შევარდნა, რჯულზე უმტკიცესია.

აშშ-ის ყველა პრეზიდენტის ჩამოთვლა კი არ მეზარება, მათ მიერ მშვიდობის სახელით ჩადენილი ბოროტებების ჩამოთვლა მთელ გაზეთში არ ჩამეტევა და ტყუილად რატომ გავიხსენო?

ჯორჯ ვაშინგტონი, ჯონ ადამსი, თომას ჯეფერსონი, ჯეიმს მედისონი, ჯეიმს მონრო, ჯონ ქვინსი ადამსი, ენდრიუ ჯექსონი, მარტინ ვან ბურენი, ვილიამ ჰენრი ჰარისონი, ჯონ ტაილერი, ჯეიმს პოლკი, ზაქარი ტეილორი, მილარდ ფილმორი, ფრანკლინ პირსი, ჯეიმს ბუქენენი, აბრაამ ლინკოლნი, ენდრიუ ჯონსონი, იულიუს გრანტი, რუტერფორდ ჰაიესი, ჯეიმს გარფილდი, არტურ ჩესტერი, კლევლენდ გროვერი, ბენჯამინ ჰარისონი, ვილიამ მაკკინლი, თეოდორე რუზველტი, ვილიამ ჰორვარდ ტაფტი, ვუდროუ ვილსონი, ვარენ ჰარდინგი, კალვინ კოლიდჯი, ჰერბერტ ჰუვერი, ფრანკლინ რუზველტი, ჰარი ტრუმანი, ვაით ეიზენჰაუერი, ჯონ კენედი, ლინდონ ჯონსონი, რიჩარდ ნიქსონი, ჯერარდ ფორდი, ჯიმი კარტერი, რონალდ რეიგანი, ჯორჯ უფროსი ბუში, ბილ კლინტონი, ჯორჯ უმცროსი ბუში, ბარაკ ჰუსეინ ობამა, ბაიდენი — ამათგან თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნება მშვიდობის მტრედისმაგვარი...

ტრამპიც კაი ხვითოა ამ მხრივ, მაგრამ ისეთი ორიგინალური ტუტუცია, მსგავსი არ ურევიათ პრეზიდენტების გალერეაში. ცირკი დღემდე მიყვარს, მაგრამ დღემდე ვერ ვიგებ კლოუნების ხუმრობებს, ტრამპის ხუმრობებს, თვით საომრსაც კი, ადვილად აღვიქვამ და ამიტომაც გახდა ჩემი ჯილა.

აბა, ამას რომ იტყვის ტიპი, აშშ-ის პრეზიდენტი ირანული გემების დაკავებაზე: დავაკავეთ გემი, დავაკავეთ ტვირთი, ნავთობი, ეს ძალიან მომგებიანი ბიზნესია — ჩვენ ვმოქმედებთ, როგორც მეკობრეებიო, - არ დარჩები ყურებამდე გაღიმებული და საინტერესოდ გაოგნებული? ამის თქმიდან ორი ნაბიჯია დარჩენილი იქამდე, რაც მე აქამდე მოკლედ ვთქვი აშშ-ის პრეზიდენტებზე.

ან ეს რად ღირს, პირდაპირ ათიანში გაარტყა!

რეპორტიორი: გაბრაზებული ხართ ჩინეთზე, ირანს რომ ეხმარება?

ტრამპი: არა... არა... არა! ჩვენც იგივეს ვაკეთებთ სხვა ქვეყნებთან, ასე არ არის? ვერაფერსაც ვერ იზამ.

ეს მხოლოდ პასუხი არ არის. ეს ტრამპის ერთ-ერთი ყველაზე გულწრფელი პასუხია. მწარე სიმართლეა, მაგრამ ტრამპმა ეს ყოველგვარი დიპლომატიის, პირფერობისა და შიშის გარეშე გააკეთა.

სიმართლე სიცრუის ეპოქაში — ეს დაუძლეველი ძალაა! ჰოდა, მთლად ბოლომდე რომ ვერ ვიგებ, ტრამპი სიმართლისმოყვარეა თუ ტუტუცი, ამიტომაც გახდა ჩემი ჯილა!

მე ხომ ცნობილი ბუტია ვარ, ჰოდა, ეტყობა, ქვეცნობიერად გახდა ჩემი ჯილა ჩემსავით ბუტია ტრამპი — ჰოდა, ამიტომ, გერმანიის მსგავსად, აშშ-ის ჯარების გაყვანას იტალიიდან და ესპანეთიდანაც არ გამორიცხავს. იტალიამ არანაირი დახმარება არ გაგვიწია და ესპანეთი საშინელება იყო. როდესაც გვჭირდებოდნენ, ჩვენთან არ იყვნენ. ირანთან დაკავშირებით, რეალურად, არანაირი დახმარება არ გვჭირდებოდა. მათი დახმარება არ მჭირდებოდა, მაგრამ ვუთხარი: „კი, ძალიან მსურს თქვენგან დახმარება“. მინდოდა მენახა, გააკეთებდნენ, თუ არა ამას“, ჰოდა, ვნახე და სულ კარგად ბრძანდებოდნენო.

ჩემი ჯილას ფესვები უეროვნებო, ანუ ამერიკული არ არის, გერმანულია, მაგრამ ეს უფრო აუხსნელს ხდის მის სიპათიებს პუტინისა და სი ძინპინისადმი. პოლიტიკა და ეკონომიკა გვერდზე გადავდოთ, მხოლოდ მე მეჩვენება, რომ პირადი სიმპათიები აქვს ამ ორისადმი?

კარგად მახსოვს, აგერ ახლახან რომ მოუწოდა სი ძინ პინმა აშშ-ს: ნატო-მ ომი და კატასტროფა მოუტანა ამ რეგიონებსა და მათ ხალხებს, უკრაინიდან ავღანეთამდე, ერაყიდან ლიბიამდე. შეერთებულმა შტატებმა უნდა დატოვოს ნატო, ის სავსეა აბსოლუტურად გიჟებით. აშშ-ს არანაირი უსაფრთხოება არ აქვს იქ, მხოლოდ დიდ ომში ჩათრევის შესაძლებლობააო. ახლა რაც წამოიწყო ტრამპმა, სი ძინპინის რჩევის დასაწყისის დასაწყისი არ არის?

ჩემი ჯილა!

რეპორტიორი ეკითხება: ხომ არ მიდის საუბარი იმაზე, რომ მომავალში ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ატაროთ, იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ მიმართ სროლა განხორციელდაო?

ტრამპი პასუხობს: არ ვიცი, რამდენად შევძლებ 20 ფუნტით (დაახლოებით 9 კგ) უფრო მსუქანი გამოვჩნდე. ამ ბიჭებიდან [მცველები] ზოგიერთი ნამდვილი ათლეტია. ზოგიერთი მათგანი ისეთი დაკუნთულია, რომ მათ გვერდით დგომაც კი არ მინდა. არა, არ ჩავიცვამ, მირჩევნია მესროლონ, ვიდრე თქვან, რომ გავსუქდიო.

ვაჰ, რა „მასტია“! ჰო, სიმსუქნე მხოლოდ ენაზე განთავსებული რეცეპტორების ჰობია...

რა ამ სიტყვის პასუხია და, ტრამპთან შეხვედრამდე, რომ ითქვა, ნიუ-იორკის სოციალისტმა მერმა, ზოჰრან მამდანიმ ბრიტანეთის მეფეს მოუწოდა კოლონიუ-

15 გვ.

ხალხს აქვს უფლება - ისროდეს...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N15.)

ამასწინათ ქართულმა ფეისბუკმა დასცინა რუს სასულიერო პირს, რომელმაც თქვა, რომ ეკლესიას სწამს უცხოპლანეტელების — მან იგულისხმა ანგელოზთა დასი, რომლებიც სადღაც სხვაგან, სხვა განზომილებაში ცხოვრობენ და იქ ადამიანი მიწიერი სახით ვერ მოხვდება.

ასევე, ერთ-ერთ ქართველ მღვდელს დასცინეს, რომელმაც მთვარე პლანეტად მოიხსენია. თანამედროვე ასტროფიზიკის შეხედულებით, მთვარე პლანეტა არ არის — არ იცის ეს იმ მღვდელმა, მაგრამ ძველი კოსმოლოგიური სწავლებით, რომელიც საფუძვლად უდევს სამივე მონოთეისტური რელიგიის ღვთისმეტყველებას, მთვარე ნამდვილად პლანეტაა. უფრო მეტიც — მზეც პლანეტაა. ეს კი იმ მღვდელმა იცის.

დავუბრუნდეთ იმ რუს სასულიერო პირს. მას არ უთქვამს არაფერი ისეთი, რაც ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას და კოსმოლოგიას ეწინააღმდეგება. ამ სწავლებით, ანგელოზთა დასი „ცაზე“ ცხოვრობს, ოღონდ ეს „ცა“ ის ცა არ არის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ. ისინი იმ „ცაზე“ ცხოვრობენ, სადაც ადამიანი ფიზიკური ფორმით ვერ მოხვდება. ერთადერთი ადამიანი, რომელმაც თითქმის ყველა ეს „ცა“ მოიხილა, პავლე მოციქულია. იქ მხოლოდ სული ხვდება და არა ფიზიკური სხეული, ანუ მატერია.

რას გვეუბნება კვანტური ფიზიკა. გასაგები ენით რომ ვთქვათ, ჩვეულებრივი ფიზიკა (აი, ის, რასაც ვხედავთ, ვეხებით, ვგრძნობთ), შეიძლება, ჩვენს სხეულს შევადაროთ. კვანტური ფიზიკა კი ის არის, რომელსაც ვერ ვხედავთ, ვერ ვეხებით, ვერ ვგრძნობთ, მხოლოდ ცდებით შეიძლება დავასკვნათ. ეს კი, ადამიანურ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, სულს შეიძლება შევადაროთ.

აი, იმ კვანტურ ფიზიკაში არის ადრე თეორიულად გამოთქმული, შემდეგ კი ექსპერიმენტულად დადასტურებული ე. წ. „კვანტური ჩახლართულობა“, როცა სხვადასხვა და ერთმანეთისგან ძალიან დიდი მანძილებით დაშორებული და ხილულად დაუკავშირებელი კვანტები, ერთმანეთზე ზემოქმედებენ: აქ ვცლით ერთი კვანტის მდგომარეობას და ჩვენგან აუხსნელი მიზეზით, მაშინ იქ, სადღაც შორს და ჩვენს კვანტთან ხილულად დაუკავშირებელი კვანტი უმალ ანალოგიურ მდგომარეობაში იცვლება.

არ გაგონებთ ეს იმ მდგომარეობას, როცა გვაქვს შეგრძნება, რომ ამ, მანამდე ჩვენთვის უცნობ ადგილას, ოდესღაც ვყოფილვართ, ან ის, მანამდე უცნობი ადამიანი, სადღაც გვინახავს და ვიცნობდით კიდევაც?

ფიზიკოსებმა ანალოგიური მდგომარეობა უკვე ატომურ დონეზეც შენიშნეს. ეს მიანიშნებს, რომ ყველაფერი ერთმანეთთან, ჩვენთვის უხილავი რაღაც „ძალებით“ არის დაკავშირებული.

კვანტურმა ფიზიკამ ექსპერიმენტებით უკვე იცის, რომ ერთ კვანტს შეუძლია იმყოფებოდეს ერთდროულად რამდენიმე ადგილზე ისე, რომ თავად მდებარეობას არ იცვლიდეს.

ფიზიკამ იცის, რომ არსებობს სამგანზომილებიანი სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, და ასევე იარსებებს სამზე მეტგანზომილებიანი სამყარო, რომელიც ჩვენი გონების აღქმისთვის წარმოუდგენელია. ამ სწავლებით, მრავალგანზომილებიან სამყაროში მცხოვრებთათვის დაფარული არაფერი არ არის: ისინი ერთდროულად ხედავენ წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

არ გაგონებთ ეს „ფსალმუნის“ ერთ ეპიზოდს: „რამეთუ ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე, რომელ წარხდა და ვითარცა სახუმილავი ერთი ღამესა შინა“?

მრავალგანზომილებიანი სისტემის თეორიული არსებობა მიანიშნებს, რომ სამყაროც მრავალია, რომლებიც სხვა განზომილებებია, ოღონდ, იქ სამგანზომილებიანი სამყაროს არსება ვერ მოხვდება, რადგან განზომილებებს შორის სხვაობა მათ შერწყმას გამორიცხავს.

არ გაგონებთ ეს პავლე მოციქულის მიერ „ცების“ მოხილვას?

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ მეც ბევრი რამ არ ვიცი, არც ღვთისმეტყველებაში და არც კვანტურ ფიზიკაში, მაგრამ ერთი რამის თქმა შემიძლია: რაც იმ რუსმა სასულიერო პირმა თქვა, სისულელე არ იყო. ეს იმ სწავლებიდან გამომდინარეობდა, რომელსაც ის ემსახურება. უბრალოდ, მან სცადა, ის ტერმინოლოგია გამოეყენებინა, რაც არაეკლესიურ საზოგადოებას უფრო ესმის.

კარგი იქნებოდა, რომ სასულიერო პირები, ღვთისმეტყველებასთან ერთად, საერო მეცნიერებებს (მათ შორის, ფიზიკას) ისწავლიდნენ; ასევე მეცნიერები ერკვეოდნენ ღვთისმეტყველებაში. მაშინ არ შეიქნებოდა ის „გაუგებრობა“, რაც მათ შორის არსებობს, არადა, პირიქით, ორივე ასპექტი სრულ ჰარმონიაშია ერთმანეთთან. უბრალოდ, ამას დანახვა უნდა.

ღვთივგანსვენებული უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქადაგებებში ხშირად მიუთითებდა სასულიერო და საერო პირთა მიერ, შესაბამისად, საერო და სასულიერო მეცნიერებათა შესწავლის აუცილებლობას. საამისოდ მას ხშირად მოჰყავდა II საუკუნის სასულიერო პირის წმიდა კლიმენტი ალექსანდრიელის სიტყვები, რომელსაც მეც ხშირად ვიმეორებ: „მორწმუნე ადამიანი ღვთის მონაა, განათლებული მორწმუნე კი ღვთის მეგობარია“.

სხვათა შორის, ჯეი დი ვენსმაც ამდაგვარი პირადი აღქმა გადმოგვცა ინტერვიუში უცხოპლანეტელების შესახებ, ოღონდ, პირუკუ, სხვა სამყაროდან მოსული დემონები არიანო.

მეც ძალზე მაინტერესებს ამოუცნობი მოვლენები. როგორც ჩანს, ბარაკ ობამასაც აინტერესებდა, ტრამპსაც აინტერესებს და ჯეი დი ვენსსაც. ვენსმა განაცხადა, რომ კოსმოსში იმდენად უცნაური რამ ხდება, მათი ახსნა შეუძლებელია და დასძინა, რომ სურვილი აქვს, ულტრასაიდუმლო ნებართვით ხელში, ჩაუღრმავდეს „ზონა 51“-ს, ცხელ წერტილებს ნიუ-მექსიკოში და „ანგარ-18“-ს ოჰაიოში. თემა ამოუწურავია, გაზეთის ფორმატი კი ამის საშუალებას არ იძლევა, ამიტომ, შევეცდები, მაქსიმალურად მოკლედ და გასაგებად გადმოგცეთ ჩემი თუ სხვათა ნააზრევი.

მას შემდეგ, რაც 1950-იანი წლების დასაწყისში ამოუცნობი მფრინავი ობიექტების საკითხის კვლევა სერიოზულ დონეზე დაიწყეს, არაერთი მკვლევარი გახდა შევიწროების, დევნისა და აუხსნელი მოვლენების მსხვერპლი, ზოგი მათგანი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა კიდეც. იყო ისეთი შემთხვევები, როცა მკვლევრებს ტელეფონით ურეკავდნენ, აშანტაჟებდნენ და მოუწოდებდნენ, კვლევისა და ძიების პროცესი შეეწყვიტათ. ზოგ უფოლოგს უცნობები სახლში აკითხავდნენ და აფრთხილებდნენ, ძიებას თუ არ შეწყვეტ, კარგი არაფერი გელისო.

1953 წლის სექტემბერში, შავებში ჩაცმული სამი პირი უფოლოგ ალბერტ კ. ბენდერს ესტუმრა. ბენდერმა მფრინავი თეფშების საერთაშორისო ბიურო დააფუძნა. როგორც უფოლოგი გრეი ბარკერი გვიყვება, ბენდერმა გარკვეული სახის ინფორმაცია მოიპოვა, რაც, მისი აზრით, მფრინავი თეფშების წარმომავლობის საკითხს ჰფენდა ნათელს. ეს ყველაფერი მან თეზისის სახით დაწერა და იმ მეგობარს გადაუგზავნა, რომელსაც ძალიან ენდობოდა. როცა სამი უცნობი მამაკაცი ბენდერის სახლს ესტუმრა, ერთ-ერთ მათგანს ხელში სწორედ ეს თეზისი ეჭირა. უცნობებმა უფოლოგს უთხრეს, მფრინავი თეფშების საკითხის მკვლევრებიდან სწორედ შენ ხარ ის ერთადერთი, რომელიც სწორ კვალზე გავიდაო და დამატებით ძალიან ბევრი დეტალი გაუმხილეს. ამის შემდეგ ბენდერი ავად გახდა და სამი დღე საჭმელს ვერ ჭამდა.

ამოუცნობი მფრინავი ობიექტების საკითხის მკვლევრებმა, დომინიკ ლუჩეზმა და აუგუსტ რობერტსმა ბენდერი დაარწმუნეს, ამ ამბის შესახებ საჯაროდ აუცილებლად უნდა ისაუბროო.

უცნობებს უფოლოგისთვის უთქვამთ, თუ კაცობრიობა მფრინავი თეფშების შესახებ სიმართლეს შეიტყობს, მთელი სისტემა ჩამოიშლება, განსაკუთრებით მძიმე დარტყმას მეცნიერება და პოლიტიკური სტრუქტურები მიიღებენ, მასობრივი ქაოსი დაიწყება და ამ ყველაფერს ვეღარაფერი შეაჩერებსო.

რობერტსი და ლუჩეზი ყველანაირად ცდილობდნენ, ბენდერი აელაპარაკებინათ, თუმცა ის თითქმის არაფერს ყვებოდა, მეტწილად იმას ამბობდა, ამ შეკითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთო.

1962 წელს ბენდერმა გადაწყვიტა, დუმილი დაერღვია და თავს გადამხდარი ამბავი გაესაჯაროებინა. ჰყვებოდა ასტრალურ პროექციაზე, ანტარქტიდაზე არსებულ საიდუმლო მიწისქვეშა ბაზაზე და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, რომ თითქოს სიმართლეს კი არ ამბობდა, გზა-კვალს გაწზრახ გირევდათ.

1967 წლის 24 ივნისს დომინიკ ლუჩეზმა განაცხადა: მას შემდეგ, რაც ბენდერს შავებში ჩაცმული სამი მამაკაცი ესტუმრა, ჩვენი მეგობარი საკუთარ თავს აღარ ჰგავს, თითქოს ლობოტომია გაუკეთესო. ძალიან შეშინებული იყო, თავის საშინელი ტკივილებისგან იტანჯებოდა და თითქოს ეს ტკივილი მას აკონტროლებდა. როგორც კი დუმილის დარღვევას შეეცდებოდა, თავის ისეთი გაუსაძლისი ტკივილი ეწყებოდა, ვეღარ აზროვნებდა. შავებში ჩაცმულმა სამმა მამაკაცმა ის გააჩუმა და სამუდამოდ გაჩუმებული დატოვა. დღეს ბენდერი კალიფორნიაში მდებარე ერთ-ერთი პატარა სასტუმროს მენეჯერია. პერიოდულად ისევ გვაქვს კონტაქტი, მაგრამ მფრინავ თეფშებზე საუბრისგან კატეგორიულად იკავებს თავს.

უკვე გახმაურებული ამბავია, რომ 2022-2026 წლებში, უჩვეულო ვითარებაში გარდაიცვალა ან სულაც, გაუჩინარდა 11 ამერიკელი მეცნიერი, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ბირთვულ, აერონავტიკულ ან თავდაცვით სამუშაოებთან. თეთრი სახლი და FBI განიხილავენ საქმეებს, რათა დაადგინონ, არის თუ არა რაიმე კავშირი მათ საქმიანობასა და მომხდარს შორის. ამ ამბავს ვრცელი სიუჟეტი მიეძღვა, ამდენად, მე აღარ განვავრცობ. ჯერჯერობით არ არსებობს დადასტურებული კავშირი, შეთქმულება ან უცხოური ჩართულობა.

ამოუცნობ მფრინავ ობიექტებთან, არამიწიერ არსებებთან და უცნაურ ქმნილებებთან დაკავშირებული გადმოცემები საქართველოს ტერიტორიაზეც საკმაოდ ხშირად გვხვდება. ჯერ კიდევ 24 წლის წინათ დაიბეჭდა რუსულ გაზეთ, „ვედომოსტი“-ში (სტატიის ავტორი - იური სიმონიანი) საქართველოში მომხდარი შემთხვევების შესახებ... პირადად რამდენი მომისმენია თვითმხილველებისგან... „ამო“-სთან დაკავშირებულ უამრავ ამბავს კი, რომელთა მომსწრეც მე თვითონ ვარ, რა მომაყოლებს...

როდესაც ამო-ს არსებობის არ გჯერა, იტყვი რომ არ გჯერა და ამოწურულია საკითხი, მაგრამ როდესაც გჯერა, სულ მცირედი დამამტკიცებელი მაინც უნდა გქონდეს — ჰოდა, მსოფლიოს აქვს!

მე რაც მაქვს ჩემი თვალით ნანახი და განცდილი, ამას საჯაროდ არასდროს ვიტყვი, ქილიკის ატანის სურვილი არ მაქვს, სხვამხრივ კი, ვისაც ასეთი ამბები აინტერესებს, წაიკითხავს.

მაკა ჯაყელი

(გაგრძელება იქნება)

დაკარგული ან გარდაცვლილი მეცნიერები

12 გვ.

უკვე თვალნათლივ ვხედავთ ერდოღანის, როგორც „ჰიბრიდული სცენარების ოსტატის“ ხელწერას — სანამ ტანკები დაიძვრებიან, მოწინააღმდეგის ეკონომიკა შიგნიდან უნდა გაიბზაროს. ენერგეტიკული შანტაჟი ჯეიჰანის პორტის მეშვეობით კი ამ პროცესის კულმინაციაა. ეს არის წმინდა წყლის პრაგმატიზმი, სადაც გეოგრაფია იარაღად იქცევა.

თურქეთის საზღვაო დოქტრინა „ლურჯი სამშობლო“ აღარ არის მხოლოდ აკადემიური თეორია. უნივერსალური სადესანტო ხომალდის, „ანადოლუს“ გამოჩენა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში ცვლის ძალთა ბალანსს. ეს არ არის უბრალოდ გემი, ეს არის მობილური შტაბი და უპილოტო ავიაციის მატარებელი პლატფორმა.

თუ აქამდე ისრაელის ავიაცია რეგიონში აბსოლუტური ჰეგემონი იყო, ახლა თურქული დრონების, „ბაირახტარების“ (ერდოღანის სიძის, სელჩუკ ბაირაქტარის შექმნილი) მუდმივი ყოფნა ზღვაში ამ ჰეგემონიას წერტილს უსვამს. თურქეთი აღარ ითხოვს ნებართვას პატრულირებისთვის, ის თავად აწესებს „არასაფრენ ზონებს“ თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად. ეს არის სუვერენიტეტის დემონსტრირება იმ სივრცეში, რომელსაც დასავლეთი ტრადიციულად თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა.

ყველაზე საინტერესო და რთული ასპექტი თურქეთის ურთიერთობაა იმ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, რომლის წევრიც თვითონ არის— ის იყენებს ნატო-ს წევრობას, როგორც ფარს. ინჯირლიკის ავიაბაზის ფაქტობრივი ბლოკირება და ამერიკული ძალებისთვის საჰაერო სივრცის დახურვა აჩვენებს, რომ თურქეთს შეუძლია „გამორთოს“ ვაშინგტონის გავლენა რეგიონში ყოველგვარი იურიდიული დარღვევის გარეშე.

ანკარა ვაშინგტონს აყენებს არჩევანის წინაშე: ან აღიარებთ თურქეთის ახალ როლს, ან კარგავთ ევრაზიის უმნიშვნელოვანეს საყრდენ წერტილს!

ეს არის „ხაფანგი“ პენტაგონისთვის ახლა, როდესაც აშშ დაკავებულია ირანის ფრონტით, თურქეთთან ღია კონფლიქტი დასავლეთისთვის კატასტროფის ტოლფასია. შესაბამისად, ერდოღანს ხელები აქვს გახსნილი.

ამ სიტუაციაში, როცა კონკურენტი ირანიც ომშია, ყოველგვარი მუსლიმანური სენტიმენტების გარეშე, თურქეთი მოსწრებზეა, რომ გახდეს მუსლიმური სამყაროს ლიდერი — ყატარი, აზერბაიჯანი და ნაწილობრივ ეგვიპტეც, თურქული სამხედრო ინდუსტრიის მომხმარებლები ხდებიან. როდესაც შენ ყიდი იარაღს, შენ ყიდი ისეთ რამეებს, რაც უმთავარესია პოლიტიკური გავლენების მოსაპოვებლად.

„ისლამური ნატოს“ იდეა თურქეთისთვის არის ლეგიტიმაციის საშუალება. თუ ანკარა მარტო შევა კონფლიქტში, ის აგრესორია, მაგრამ თუ ის სათავეში ჩაუდგება „რეგიონულ სამშვიდობო მისიას“, ეს უკვე საერთაშორისო პოლიტიკური აქტია. ერდოღანი ამზადებს ნიადაგს, სადაც თურქული ჯარის შესვლა ნებისმიერ წერტილში აღქმული იქნება, როგორც ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

თურქეთმა უკვე გადალახა „შეუცვლელობის წერტილი“. განხილული სცენარებიდან, იქნება ეს „ჰუმანიტარული დერეფნის“ გარღვევა, „ჰიბრიდული ფარი“ პროქსი-ჯგუფებისთვის თუ პირდაპირი დესანტი, თითოეული ემსახურება ერთ მიზანს — ანკარა უნდა გახდეს რეგიონის მთავარი არქიტექტორი.

„ბაყაყისჭამიები“ და „ლურჯი“ სამშობლო!

სამყარო, სადაც წესები მხოლოდ ვაშინგტონში იწერებოდა, წარსულს ჩაბარდა.

საინტერესოა, არის თუ არა ეს ისტორიაში უდიდესი გეოპოლიტიკური ბლეფი, თუ ჩვენ ვხდებით ახალი იმპერიული წესრიგის დაბადების მოწმეები? ერთი რამ ცხადია, თურქეთი აღარ აპირებს, იყოს „მეორეხარისხოვანი მოთამაშე“.

მთავარი შეკითხვა შეკითხვად რჩება: კონკრეტულად რა დგას მაკრონის სიტყვების მიღმა და რატომ, საიდან გაახსენდა თურქეთი და საბერძნეთი იმ ევროპას, რომელმაც ხელები დაიბანა და ამით ბიზანტიის იმპერია 1453 წელს თურქების ხელით დაეცა. რა ქვემდინარებებია ევროოჯახში?

P.S. სიმართლე თქვა ჩემმა მეგობარმა, — ერდოღანი მიიჩნევს, რომ კავკასიური „შუა დერეფანი (სადაც ჩვენ გვიჭირავს საკვანძო ადგილი) არის „სახმელეთო ჰორმუზი“.

თურქეთსა და ირანს იმდენი რამ აქვთ დაშავებული საქართველოსთვის, რომ გენტიკური მტრობა მაქვს ამ ხალხებთან, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, — მისი ეს სიტყვები ჩვენი მარშრუტის მხარდაჭერაზე მეტყველებს, საიდაც უნდა გაიაროს ჩინური და ინდური ტვირთების ძირითადმა ნაწილმა ევროპისკენ (არის ზანგეზურის დერეფნის ალტერნატივაც, რომელიც უფრო აწყობს თურქეთს, მაგრამ მისი ამოქმედება ირანზე და რუსეთზეა დამოკიდებული, არავინ იცის, დაუშვებენ თუ არა ისინი ამას). ასე რომ, არც ირანის მხარეს ვარ, მხოლოდ ჩემთვის ყველაზე მთავარი ჩემი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებია. ეს ინტერესები კი ითხოვს იმას, რომ ამ ომში ისრაელმა და შეერთებულმა შტატებმა ვერ მიაღწიონ წარმატებას ამ კუთხით და კიდევ ერთი, ირანის (რომელიც ჩინეთთან ერთად ჩვენს სიტუაციურ მოკავშირედ გვევლინება “შუა დერეფნის” პროექტში) მხარეს არის სიმართლე, ის არავის დასხმია თავს, მას დაესხნენ!..

...და მაინც, რა დონის იდიოტი (თუ მოღალატეც არ არის) უნდა იყოს ის ქართველი, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა უცხო ქვეყნების, ამ შემთხვევაში კი, ამერიკისა და ისრაელის სტრატეგიულ ინტერესებს აყენებს!

მაია ჯელიძე

ლიტერატურული კონკურსის „ფრთხილად, წინ მკითხველია“ მონაწილეთა საყურადღებოდ!

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება ა. წ. 8 მაისს, 16.00 საათზე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. მისამართი: რუსთაველის გამზ., 52.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი

ბოლომდე მაინც ვერ მავიგე...

13 გვ.

რი წარსულის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლოს, „კოჰინურის“ ბრილიანტის დაბრუნებისკენო, ჩემი ვაჭრული სულის მქონე ჯილას „ნაკოლი“ მგონია. მამდანს კი ეცოდინებოდა ამ ბრილიანტის ამბავი, მაგრამ „მწვანეს“ ტრამპი აუნთებდა, ასე მგონია.

ეს ფასდაუდებელი ბრილიანტი (105,6 კარატი. თავდაპირველად უფრო დიდი იყო, მაგრამ მოგვიანებით გადაამუშავეს და დაპატარავდა) აღმოაჩინეს ინდოეთში, დაახლოებით XIII–XIV სს. სახელი „კოჰინური“ სპარსულად ნიშნავს „სინათლის მთას“. ბრილიანტი საუკუნეების განმავლობაში გადადიოდა სხვადასხვა მმართველის ხელში - ინდოეთის, სპარსეთის, ავღანეთისა და სიქჰთა იმპერიის ლიდერებს შორის. 1849 წელს, ბრიტანეთის იმპერიის მიერ ინდოეთის დაპყრობის შემდეგ, ბრილიანტი მიიტაცეს და ბრიტანეთის სამეფო ოჯახს გადასცეს. ამჟამად ის ინახება ბრიტანეთის სამეფო საგანძურში და ჩასმულია ჩარლზის ბებიის, ელისაბედ (დედა) დედოფლის გვირგვინში, რომელიც ლონდონის ტაუერშია გამოფენილი.

ტიპს ფეხებზე ჰკიდია „ბალი ათი შაური“, რასაც ფიქრობს, იმას ამბობს და როგორც საჭიროდ თვლის, ისე იქცევა, მერე კი სძინავს სუფთა სინდისით, სრულებით არ აინტერესებს, ადრესატებისგან ვის როგორ დაეძინა იმ ღამეს.

თვითონ ხომ შედევრია და აშშ ომის მინისტრიც თავისნაირი იპოვა, ფაქტობრივად, მის სტილზეა გადაწყობილი:

მოულტონი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრი:

— ფიქრობთ, რომ ირანთან ომს მოვიგებთ?

ჰეგსეთი: ნამდვილად.

მოულტონი: ირანის მიერ ჰორმუზის სრუტის დახურვას გამარჯვებად მიიჩნევთ?

ჰეგსეთი: ბლოკადა, რომელიც ჩვენ გვაქვს…

მოულტონი: ანუ მათ დაგვბლოკეს და ჩვენ მათ ბლოკადას ვუბლოკავთ? ეს ჰგავს იმას, თითქოს პრეზიდენტი მედისონი ამბობდეს, ბრიტანელებმა ვაშინგტონი გადაწვეს, მაგრამ ნუ ნერვიულობთ, ჩვენც დავწვავთო.

„პრიკოლები“ არიან, ოღონდ, რაღაც სხვანაირები, ხან ჭრიან და ხან კერავენ...

კორეას დასცინიან, მზეზე ვითომ კოსმონავტები დასვესო და, ტრამპი და მისი ადმინისტრაცია ბარონ მიუნჰაუზენს ეჯიბრებიან ფანტაზიებში, თან არც ის ანაღვლებთ, რომ გაციფრულებულ მსოფლიოში ოხუნჯობენ.

უკვე მეორედ გაიმარჯვა აშშ-მა ირანზე... დილას ომს ამთავრებს, საღამოს ისევ ომს იწყებს, ან პირიქით და დამნაშავე მაინც ირანია, „ცუდად იქცევა“!

ის უკვე წვრილმანებია, ბლოკადებს რომ ბლოკავენ... ტრამპზე ტომებს დავწერდი გლახაობა-გლახაობით, მაგრამ არ მცალია, იმას ვარკვევ, 8-ლარიანი საქონლის ხორცი როგორ ხდება 32 ლარიანი.

ჩემი შემაჯამებელი სიტყვა ასეთია — ტრამპი ჩემი ჯილაა, მაგრამ გაუმარჯოს დენ კეინს!

აშშ-ს არმიის გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელმა გენერალმა დენ კეინმა ბირთვული კოდების მიცემაზე სამი თითის კომბინაცია უჩვენა ტრამპს, თორემ ახლა ამას ვერც მე დავწერდი და ვერც თქვენ წაიკითხავდით, კარგი იქნებოდა, თავშესაფრებში თუ ვისხდებოდით აბაბანებულები...

ზურა ოჟხერელი

პირველი მაისი დოდო აბაშიძის დაბადების დღე იყო...

მსახიობი **გია ბადრიძე** ასეთ ამბავს იხსენებდა: „გიორგი კალატოზიშვილი „ციმბირელ პაპას“ ისტორიულ ადგილებში იღებდა და ციმბირში, მდინარე ენისეის პირას ვიმყოფებოდით. მთავარ როლს დოდო აბაშიძე ასრულებდა. გადამღები ჯგუფი, ფაქტობრივად, ტაიგაში ვცხოვრობდით და ცივილიზებული სამყაროსგან მდინარე ენისეი გვაშორებდა, რომელზეც ერთადერთი მოტორიანი ნავით გადავდიოდით. მენავეს თავისი მოძრაობის გრაფიკი ჰქონდა. ერთ დღეს მე, დოდო და გურამი მეორე ნაპირისკენ გავემართეთ. კალატოზიშვილმა წასვლის წინ, მკაცრად გაგვაფრთხილა: იცოდეთ, გადაღებაზე არ დააგვიანოთ. ზუსტად შუადღეზე ვიწყებთ და დილის თერთმეტზე აქ უნდა იყოთო.

ჩვენმა ტრიომ პირველი ღამე, ჟარგონით რომ ვთქვა, „კარგ პონტში“ გავატარეთ და არცთუ ცოტა სპირტიანი სასმელი მივიღეთ, თან, არ გვძინებია. დილის ცხრაზე კი, ენისეის ნავსაყუდელისკენ ავიღეთ გეზი. მენავე ფეოდორი და მისი ორი „პაძელნიკი“ იქვე, კატერში დილიდანვე ქეიფობდნენ. ოთხი ნახევარ-

ლიტრიანი არაყი ედგათ და „სტოპკებით“ „ურტყამდნენ“, თან შავ პურსა და „სალას“ აყოლებდნენ.

– ბოდიში, ბიჭებო, მაგრამ იქით ნაპირზე გვეჩქარება და უნდა გადაგვიყვანოთ, – უთხრა დოდომ მოქეიფეებს.

– დაველევთ და მერე, – შეუღრინეს დოდოს დაკუნთულმა ციმბირელმა „ბაკლანებმა“.

დოდო ასეთ უხეშობას ვერ იტანდა და თავხედსა თუ თავხედებს თავისი რკინის მუშტებით უსწორდებოდა. იგივე დააპირა იმ მომენტშიც, მაგრამ ვთხოვე, ჩხუბი არ აეტეხა. შემდეგ ციმბირელებს მიუბრუნდა და უთხრა: რა წვეთ-წვეთობით სვამთ, კაცურად დაასხით და დალიეთო.

– შენ ხომ, რას ამბობ, ბოთლი არ გამოცალო, – „წაეიაზვნენ“ დოდოს.

– რომ გამოვცალო, იქით ნაპირზე გადაგვიყვანთ? – ჰკითხა დოდომ.

– უსიტყვოდ, – მიუგეს „ბაკლანებმა“, თან თვალებგადმოკარკლული მისჩერებოდნენ დოდოს, რომელმაც ნავის ძრავას ფოლადის ჩაღრმავებული დამცველი ფარი მოხსნა, შემდეგ ნახევარი ლიტრი არაყით გაავსო, დაილოცა და დალია. მენავეს და მის „პაძელნიკებს” თვალები შუბლზე აუვიდათ. დოდომ „სალას” პირიც არ დააკარა და იმავე მეთოდით, დროის მოკლე მონაკვეთში კიდევ ორი სავსე არყიანი ბოთლი გამოცალა, ბოლოს კოპები შეიკრა, დოინჯი შემოიყარა და ციმბირელებს უთხრა:

– რას ვშვრებით, აღარ მივდივართ?

ლიტრა-ნახევარარაყდალეული, კოპებშეკრული და დოინჯშემოყრილი დოდოს ხილვამ ჯიუტ ციმბირელებზე დიდი ეფექტი მოახდინა. მენავის მეგობრებმა უსიტყვოდ დატოვეს ნავი და ადგილები ჩვენ დაგვითმეს. მენავემ ისე გადაგვიყვანა მეორე ნაპირზე, რომ დოდოსთვის შიშისგან თვალი არ გაუსწორებია. გადაღებაზე დროზე მივედით და საგულისხმო ისაა, რომ ისეთ სცენას ვიღებდით, სადაც კადრში სმის ეპიზოდია. სულ ოთხი დუბლი გადავიღეთ. ნამდვილ არაყს ვსვამდით და დოდომ კიდევ ერთი ლიტრი დალია. თუმცა, მას არაფერი ეტყობოდა, დანარჩენი მსახიობები კი, ინდაურებივით იყვნენ გამობრუჟულები.

●

ერთხელ **იპოლიტე ხვიჩიამ** და დოდო აბაშიძემ ისე იკამათეს, გაბრაზებულმა იპოლიტემ დოდოს უთხრა: აბაშიძეები ყოველთვის მოღალატეები იყავით, ქართველებს თურქეთის ბაზარზე ჰყიდდითო.

დოდომ უყურა, უყურა იპოლიტეს და: რას ჰგავხარ, შე უბედურო, შენისთანებს გავყიდდით, აბა, რას ვიზამდითო!

●

ოთარ კობერიძე იხსენებდა: ბეთანიაში ჭიდაობის სცენას ვიღებდით, როდესაც ბაში-აჩუკი და აბდუშაჰილი ხვდებიან ერთმანეთს. წინდაწინ კოწო ბადრიძემ, რომელიც იყო დამდგმელი ჭიდაობისა და ფარიკაობისა, რეპეტიცია ჩაატარა ჩვენთან. მე სწრაფად უნდა გამეკეთებინა რამდენიმე ილეთი და დოდო - აბდუშაჰილი ძირს, ზურგზე დამეცა. დოდოს ეტყობოდა, ეს სცენა არ მოსწონდა, მაგრამ რას იზამდა, სცენარში ასე ეწერა.

რეჟისორმა გადაღების ბრძანება გასცა, აპარატი ჩაირთო. გამოვიდა წრეში აბდუშაჰილი, გამოვვარდი მეც... შეევრკინეთ ერთმანეთს. რამდენიმე ილეთმა აბდუშაჰილთან, სანამ ძირს დავცემდი, ნორმალურად ჩაიარა, მაგრამ როდესაც უნდა წამომეკიდა ზურგზე და ძირს დამეცა, დოდომ წინააღმდეგობა გამიწია, რომ ვერაფრით შევძელი მისი ზურგზე წამოკიდება.

- საღამოს თეთრ დუქანში პურმარილი მოდის?

- მოდის!— ჩურჩულითვე ვუპასუხე.

მესამე დუბლზე დოდომ ძალადობის გარეშე ჩამატარებინა ილეთი და ზურგზე ისე დაენარცხა, ძლივს წამოვაყენე.

●

ზაზა აბაშიძე: 1947 წელია. მამა თეატრალურის სტუდენტი იყო და მეგობრებთან ერთად ფუნიკულიორის რესტორანში ქეიფობდა. იქვე ისხდნენ სამხედროები, რომლებმაც გვერდით მაგიდასთან მჯდომი ერთი გოგონა ძალიან შეაწუხეს. დოდომ ვერ მოითმინა, მივიდა ერთ-ერთთან და უთხრა: თავი დაანებე, ნუ აწუხებო. – შენ ვინ გეკითხებაო, – იყო პასუხი. მამამ ეგრევე მუშტი სთხლიშა და მაგიდის ქვეშ შეაგორა. მილიციამ დოდო და მისი მეგობრები დააკავა და, მართალია, დანარჩენები მერე გაუშვეს, მაგრამ დოდო დატოვეს.

გალახული მელიტონ ქანთარია აღმოჩნდა, რომელმაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა – სასტიკი უარი განაცხადა მამაჩემის გამოშვებაზე. ციმბირში უნდა ჩავალპოო, – ამბობდა.

აკაკი ხორავათი დაწყებული, ვინ არ მიუგზავნეს – კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, გიორგი ჩიტაია. შალვა დადიანი, მაგრამ მელიტონი მაინც თავისაზე იდგა. ერთადერთი იმედი დარჩა - ჟორჟიკა მდივანი, რომელიც მოსკოვიდან უნდა ჩამოსულიყო. მას ბერლინის დაცემის სცენარი ჰქონდა დაწერილი, სადაც ქანთარიაც იყო და მელიტონი მას პატივს სცემდა. მდივანი თბილისში ჩამოვიდა და ქანთარიასთან სასტუმრო „ინტურისტში“ მივიდა, სადაც მას უფასო ნომერი ჰქონდა. ჟორჟიკა მეორე სართულზე ავიდა და მელიტონის ნომრის კარზე უნდა დააკაკუნოს, რომ კარი გაიღო, მელიტონი გამოვიდა და კიბეებისკენ გაიქცა, რომელზედაც წვერგაუპარსავი დოდო ამორბოდა და გადაეხვია.

– ბიჭო, ყვა-ყვას ახლობელი თუ იყავი ვერ მითხარიო, – უთხრა ქანთარიამ მამას.

ყვა-ყვა, თურმე, ზუგდიდელი „ბუფეტჩიკი“ ყოფილა, ახალგაზრდობაში ძველი ბიჭი და მელიტონ ქანთარიამ მამაჩემი მისი თხოვნით გამოაშვებინა მილიციიდან. დოდოს ძმაკაცებმა მიაგნეს იმ ყვა-ყვას ზუგდიდში და წერილი დააწერინეს მელიტონთან. აი, ასე გაიჩარხა ეს საქმე.

1967 წელს მოსკოვში ერთ სუფრასთან ქეიფობდნენ ჟორჟიკა

მდივანი, დამიანე გოგოხია, ილია ვეკუა, ირაკლი აბაშიძე და თავად მელიტონ ქანთარია. მდივანმა ეს ისტორია გაიხსენა და გაიცინეს. ილია ვეკუამ კი მელიტონს რაღაც უთხრა მეგრულად, ქეიფი რომ დასრულდა, ჟორჟიკა მდივანმა ჰკითხა დამიანე გოგოხიას, – ვეკუამ მელიტონს რა უთხრაო? – რა და ბიჭო, ცოტნე დადიანის გარდა ყველა მეგრელი მოგიგზავნეთ და ეს ყვა-ყვა ვინ იყო, რომ მარტო მისი თხოვნა გაითვალისწინეო.

* * *

ერთხელ, მეგობართან ერთად ყოფილა სნოში, ერთი მოხევის ქორწილში, რაღაც გაუგებრობის გამო ჩხუბი ამტყდარა. დოდოს და მის მეგობარს შვიდი თუ რვა კაცი დასვია, მაგრამ ამაოდ. ამ ორმა იქით სცემა თურმე ყველანი. ამ ჩხუბს შემთხვევით შესწრებია შემდგომში საქართველოს პატრიარქი ილია II, რომელიც მაშინ ბავშვი იყო. შემდეგში მას დოდოსთვის უთქვამს - იმ დღიდან მახსოვხარ, შენს ჩხუბს რომ ვუყურებდი, მაშინ ვფიქრობდი, ალბათ, ასეთი ძლიერი იქნებოდა გიორგი საakაძე-მეთქი.

შეაგროვა
მაკა ჯაყელმა

„საერთო გაზეთი“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს პარლამენტის მერვე მოწვევის დეპუტატი, ავიაციის ინჟინერი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბრწყინვალე ანალიტიკოსი, შესანიშნავი ადამიანი, უღალატო მეგობარი **თემურ მაისურაძე** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორის მოადგილე: გელა ზედელაშვილი 555 48-48-61
შემოქმედებითი ჯგუფი:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, მაკა ჯაყელი, ნინო დაუშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დიზაინი), ბელა გველესიანი; ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.